# საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის

# 2021 წლის შესრულების მონიტორინგის ანგარიში

2022 წელი

# სარჩევი


მოკლე შეჯამება....................................................................................................................3

მიზანი 1 - კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები ....................................................................................................................................6

*ამოცანა 1.1 ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა.......................................................................................................................6*

*ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ................10*

*ამოცანა 1.3 ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია..........................................................39*

*ამოცანა 1.5 ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ..................52*

*ამოცანა 1.6 ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება..........................................67*

ამოცანა 1.7 სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება *.........................................................................................................................................73*

მიზანი 2 - ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია.........................................................................................77

*ამოცანა 2.1 გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება და ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა...........77*

*ამოცანა 2.2 ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა...........................................................79*

*ამოცანა 2.3 ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება ...............................................................82*

*ამოცანა 2.5 აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება .........................................................87*

მიზანი 3 - სურსათის / ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები .................................................................................................................97

*ამოცანა 3.1 ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება ................98*

*ამოცანა 3.2 ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან.. 100*

*ამოცანა 3.3 ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება...........................................110*

*ამოცანა 3.4 სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფა. 112*

# მოკლე შეჯამება

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბერის N2665 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია წარმოადგენს ქვეყნის განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილს, ყველა იმ სექტორული თუ მულტისექტორული განვითარების მიმართულებებს და კონკრეტული ღონისძიებების ერთობლიობას, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვის განსახორციელებლად განსაზღვრულია 3 სტრატეგიული მიმართულება:

- კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები;
- ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია;
- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა **2021 წლისთვის მოიცავს 68 აქტივობას, აქედან 17 აქტივობა ფარავს** სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD) - მეოთხე ფაზის შესრულების ინდიკატორების წლიურ შესრულებას.

2021 წელს, 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით, გათვალისწინებული იყო აქტივობების დაფინანსება საერთო ბიუჯეტით 443,616,500 ლარი, ხოლო საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 618,794,354.09 ლარი.

| სტრატეგიული მიზანი | ამოცანა | აქტივობების რაოდენობა | 2021 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი (ლარი) | 2021 წლის ბიუჯეტის შესრულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| **1. კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები** | 1.1: ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის / ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა | 3 | 275,000.00 | 311,862.69 |
| | 1.2: სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | 19 | 175,063,500.00 | 230,353,262.5 |
| | 1.3 ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | 5 | 10,400,000.00 | 9,117,069.29 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | 11 | 142,008,000.00 | 271,211,908.62 |
| | 1.6: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება | 4 | 68,000,000.00 | 49,558,225.00 |
| | 1.7 სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება | 3 | 700,000.00 | 417,751.00 |
| | პირველი სტრატეგიული მიზანი | **45** | **396,446,500.00** | **560,970,079.10** |
| **2. ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია** | 2.1: გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება და ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა | 1 | 0 | 0 |
| | 2.2: ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 2 | 500,000.00 | 9,219,139.00 |
| | 2.3: ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება | 4 | 14,600,000.00 | 16,892,000.00 |
| | 2.5: აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება | 2 | 2,700,000.00 | 2,792,927.00 |
| | მეორე სტრატეგიული მიზანი | 9 | **17,800,000.00** | **28,904,066.00** |
| **3. სურსათის /ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები** | 3.1: ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება | 2 | 0 | 0 |
| | 3.2: ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან | 7 | 22,220,000.00 | 21,720,500.00 |
| | 3.3: ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება | 1 | 7,000,000.00 | 7,083,700.00 |
| | 3.4: სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფა | 4 | 150,000.00 | 116,009.00 |
| | მესამე სტრატეგიული მიზანი | 14 | **29,370,000.00** | **28,920,209.00** |
| | საერთო ჯამი | 68 | **443,616,500.00** | **618,794,354.09** |

**აგროსასურსათო სექტორი - განვითარების ტენდენციები**

აგროსასურსათო სექტორის განვითარების მიმართულებით, 2021 წელს მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგები დაფიქსირდა.

2021 წლის წინასწარი მონაცემებით, **აგრობიზნესის პროდუქციის მთლიანი გამოშვების მაჩვენებელმა** (სოფლის მეურნეობის პირველადი და გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის გამოშვება) 13.0 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 32.5%-ით, აღემატება.

2021 წლის წინასწარი მონაცემებით, **დამატებული ღირებულების მაჩვენებელმა** 3.7 მილიარდ ლარი შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 22.1%-ით აღემატება.

2021 წლის წინასწარი მონაცემებით, **ბიზნეს სექტორში პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელმა სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში 653.1 მლნ ლარი** შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 28.1%-ით აღემატება.

2020 წელს, **პროდუქციის გამოშვების საშუალო მაჩვენებელმა, გაანგარიშებულმა სექტორში 1 დასაქმებულზე,** 23.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 4.1 ათასი ლარით (21.5%) აღემატება.

2020 წელს, **სოფლად შინამეურნეობების საშუალო ყოველთვიური შემოსავალი გაანგარიშებული ერთ შინამეურნეობაზე 982.2** ლარს შეადგენს, რაც 2018 წლის მაჩვენებელს 11.6%-ით აღემატება.

**2021 წელს, აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ღირებულებამ 1 142 მლნ აშშ დოლარი** შეადგინა, რაც 176 მლნ აშშ დოლარით (18.2%) აღემატება 2018 წლის მაჩვენებლებს. **უარყოფითმა სავაჭრო სალდომ 207.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინ**ა, რაც 46%-ით ნაკლებია 2018 წლის მაჩვენებელზე.

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიში მოიცავს დეტალურ ინფორმაციას, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის 2021 წლის პროგრამების შესრულების შესახებ.

# მიზანი 1 - კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები

სტრატეგიული მიზანი 1 - კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები მოიცავს 7 ამოცანას და 45 აქტივობას.

## ამოცანა 1.1 ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა

1.1. ამოცანის შესრულების მიზნით, 2021 წელს 3 აქტივობა განხორციელდა - ფერმერთათვის ეფექტიანი საექსტენციო მომსახურების მიწოდება და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება აგრარული მიმართულებით და სოფლად უნარების განვითარების ხელშეწყობა, ამოცანის აქტივობები განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მის სტრუქტურაში შემავალი სააგენტოებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2021 წლის განმავლობაში:**

⇒ საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 25,358 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი);

⇒ სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 605 პირი, რაც საბაზო (2018 წლის) მაჩვენებელთან (487 პირი) შედარებით, 24.2%-ით მეტია;

⇒ 2021 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლად არასასოფლო-სამეურნეო დასაქმებისათვის საჭირო უნარების გაუმჯობესებას, ჩარიცხულთა რაოდენობამ ჯამში შეადგენდა 601 სტუდენტი, საიდანაც 177 (29%) იყო ქალი.

**1.1 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი აქტივობების საპროგნოზო ბიუჯეტი 275,000 ლარით განისაზღვრა. 2021 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 311,862.69 ლარი.**

- **აქტივობა 1.1.1: ფერმერთათვის ეფექტიანი საექსტენციო მომსახურების მიწოდება**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: ფერმერებისათვის და აგრარულ სფეროში დასაქმებული სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის განხორციელება საოფისე, დისტანციურ და საველე პირობებში. ექსტენციის სამსახურები დარგობრივი მიმართულებით საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელების პარალელურად,

უზრუნველყოფენ სააგენტოს მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტების პოპულარიზაციას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წლის განმავლობაში 9 რეგიონული სამსახურისა და 45 საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მიერ საერთო ჯამში გაიცა 17,244 კონსულტაცია. საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 25,358 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი). სოფლად, ადგილობრივ მოსახლეობასთან საინფორმაციო - საექსტენციო შეხვედრების რაოდენობამ შეადგინა 884 ერთეული. კონსულტაციების გაწევა ხორციელდებოდა Covid-რეგულაციების სრული დაცვით და ძირითადად მოიცავდა დარგობრივი საკითხებსა და სააგენტოს მიერ განხორციელებულ პროგრამა/პროექტებს. სწორედ ამ გარემოებით არის გამოწვეული 2021 წლის ინდიკატორის შესრულების დაბალი %.

საკონსულტაციო მომსახურება ხორციელდებოდა სხვადასხვა საშუალებით: ოფისში; სატელეფონო საუბრები; SMS შეტყობინება; დაინტერესებულ პირთა ფართობებში ვიზიტი; სოფლებში ფერმერებთან ჯგუფური შეხვედრები; შეხვედრები იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივ ცენტრებში; ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელების გამოყენებით

2021 წლიდან რეგიონული სამსახურები და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები გადავიდნენ ახალ საოპერაციო პლატფორმაზე - regions.mepa.gov.ge, რაც საშუალებას იძლევა, საექსტენციო მომსახურეობა გახდეს უფრო ხელმისაწვდომი, სწრაფი და საჭიროებებზე ორიენტირებული. პლატფორმა ითვალისწინებს, საგანგებო შეტყობინებების გაგზავნას, როგორც ფერმერთათვის, ასევე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მასში შემავალი უწყებების უფლებამოსილი პირებისთვის.

2021 წელს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტი ჩართული იყო როგორც "რთველი 2021"-ის, ასევე "2021 წლის არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების" პროგრამაში.

რეგიონული სამსახურების მიერ შემუშავდა, შიდა მოხმარებისთვის ოპერატიულ-სტატისტიკურ მონაცემების დოკუმენტი - "მონაცემთა ბაზები 2021".

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, დაგეგმილი იყო, რომ საკონსულტაციო მომსახურება გაეწევა 40,000 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი). საანგარიშო პერიოდში საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 25,358 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი). 2021 წლის ინდიკატორის შესრულების დაბალი %, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კონსულტაციების გაწევა

ხორციელდებოდა Covid-რეგულაციების სრული დაცვით და ძირითადად მოიცავდა დარგობრივი საკითხებსა და სააგენტოს მიერ განხორციელებულ პროგრამა/პროექტებს.

აქტივობა განხორციელდა ადმინისტრაციული ხარჯის ფარგლებში.

| ამოცანა 1.1 ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება | აქტივობა 1.1.1: **ფერმერთათვის ეფექტიანი საექსტენციო მომსახურების მიწოდება** |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, საკონსულტაციო მომსახურება გაეწევა 40,000 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი). | **შესრულებული:**<br>2021 წელს, საკონსულტაციო მომსახურება გაეწია 25,358 ბენეფიციარს (ფიზიკური და იურიდიული პირი). |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 0.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 0.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 1.1.2: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება აგრარული მიმართულებით**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/ პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი

აქტივობის მიზანი: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სოფლის მეურნეობის მიმართულებით ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით 5%-ით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წელს, სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხა 605 პირი, რაც საბაზისო (2018 წლის) მაჩვენებელთან (487 პირი) შედარებით, 24.2%-ით მეტია.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

დაგეგმილი იყო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სოფლის მეურნეობის მიმართულებით ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის ზრდა 5%-ით, საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით. პროგრამებზე ჩაირიცხა 605 პირი, რაც საბაზისო (2018 წლის) მაჩვენებელთან (487 პირი) შედარებით, 24.2%-ით მეტია. ამდენად, დაგეგმილი სამუშაოები შესრულებულია სრულად, 100 %-ზე მეტად.

სამოქმედო გეგმით, 2021 წელს დაგეგმილი იყო - 275 000.00 ლარის ოდენობით საპროგნოზო ბიუჯეტი. აღნიშნული მიმართულების პროგრამებზე 2021 წელს ჩარიცხული სტუდენტების ვაუჩერული დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 311,862.69 ლარი. ხოლო ჯამურად, სოფლის მეურნეობის მიმართულების სტუდენტთა ვაუჩერულმა დაფინანსებამ, 2021 წლის განმავლობაში -2,881,537.85 ლარი.

| ამოცანა 1.1 ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.1.2: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება აგრარული მიმართულებით |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სოფლის მეურნეობის მიმართულებით ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება 5%-ით. | **შესრულებული:**<br>2021 წელს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სოფლის მეურნეობის მიმართულებით ჩაირიცხა 605 პირი, რაც საბაზისო (2018 წლის) მაჩვენებელთან (487 პირი) შედარებით, 24.2%-ით მეტია. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: 275 000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 311 862.69 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებ ის პროცესი დასრულებულ ია |
| | სტატუსი | | | | | X |

- **აქტივობა 1.1.3: სოფლად უნარების განვითარების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.3)**

| ამოცანა 1.1 ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.1.3: სოფლად უნარების განვითარების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.3) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS) |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს ტექნიკური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლად არასასოფლო-სამეურნეო დასაქმებისათვის საჭირო უნარების გაუმჯობესებას, ჩარიცხული ქალების რაოდენობა 2019 წელთან შედარებით, გაიზრდება სულ მცირე 5 %-ით. | **შესრულებული:**<br>2020 წელს ჩარიცხულთა რაოდენობამ ჯამში შეადგენდა 548 სტუდენტი, საიდანაც 161 (29%) იყო ქალი.<br>2021 წელს ჩარიცხულთა რაოდენობამ ჯამში შეადგენდა 601 სტუდენტი, საიდანაც 177 (29%) იყო ქალი. |

## ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

1.2 ამოცანის შესრულების მიზნით, 2021 წელს 19 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, ქვევიდან ზევით პრინციპით ინიციატივების მხარდაჭერის კრიტერიუმების შემუშავება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გადამამუშავებელი დანადგარებით აღჭურვა, თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა, ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა, სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება, აგროდაზღვევის განვითარების მიზნით, აგროკრედიტების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, ფერმერებისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება, შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა/გადაიარაღების თანადაფინანსება, ხარისხის სქემების განვითარება და მხარდაჭერა ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე, ინდუსტრიების მიმართულებით კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსება, სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება/გაფართოების მიმართულებით კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსება, სასათბურე კლასტერის მოწყობა, არასასოფლო-სამეურნეო და განახლებადი ენერგიების/ენერგო ეფექტურობის მიმართულების პროექტების თანადაფინანსება და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა

ხელშეწყობა სახელმწიფო სუბსიდირებით (COVID-19-ის გამოწვევების საპასუხოდ). კოოპერატივების ან/და მწარმოებელთა ასოციაციების ბიზნეს-საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, აგრო-სასურსათო პროდუქციის მწარმოებელთა ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, კოოპერატივების ბიზნეს-საქმიანობის მოდერნიზების მხარდაჭერა, სოფლად არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებით ქალების დასაქმების ხელშეწყობა, შერჩეული LEADER/CLLD-ის ინიციატივების ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა.

ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სტრუქტურაში შემავალი სააგენტოების მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2021 წლის განმავლობაში:**

⇒ დაიწყო ქვევიდან ზევით პრინციპით ინიციატივების მხარდაჭერის კრიტერიუმების შემუშავება;
⇒ 12 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი აღიჭურვა ნედლეულის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოსათვის საჭირო აღჭურვილობებით;
⇒ განხორციელდა 5 კოოპერატივისთვის თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო-დანადგარების შეძენის თანადაფინანსება;
⇒ გაშენდა/დაკონტრაქტდა დამატებით 3, 619.59 ჰა ახალი ბაღი;
⇒ განხორციელდა 611.22 ჰა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია;
⇒ დაზღვეულ იქნა დაახლოებით 19,118.57 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი;
⇒ განხორციელდა 20,827 შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება;
⇒ განხორციელდა 88 ბენეფიციარისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება;
⇒ სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდა 50 გადამამუშავებელი საწარმოს ან/და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა;
⇒ შემუშავდა 5 ახალი გეოგრაფიული აღნიშვნების სპეციფიკაცია;
⇒ თანადაფინანსება გაეწია 101 ახალი ან/და არსებული საწარმოს გაფართოებას /გადაიარაღებას /მოდერნიზებას;
⇒ რეგიონებში სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულების ფარგლებში სესხის პროცენტის თანადაფინანსების პროგრამით მხარი დაეჭირა 96 სასტუმროს თანადაფინანსებას;
⇒ პროექტ იმერეთის აგრო ზონის ფარგლებში განხორციელდა საერთაშორისო ინტერესთა წინასწარი გამოხატვა და ჩატარდა ინვესტორების შესარჩევი ტენდერი;
⇒ არასასოფლო-სამეურნეო და განახლებადი ენერგიების/ენერგო ეფექტურობის მიმართულების პროექტებისთვის სააგენტოს თანადაფინანსება მიიღო 35 ბენეფიციარმა;
⇒ სუბსიდია მიიღო 12,638 ბენეფიციარმა (ფერმერი/სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე).
⇒ 2020-2021 წლებში, 10-მა კოოპერატივმა ან/და მწარმოებელთა ასოციაციამ მიიღო მინიმუმ 1 საწარმოო სესხი კომერციული ბანკიდან ან მიკროსაფინანსოდან;
⇒ 2020-2021 წლებში, ხარისხის ნიშანის ლოგოს გამოყენების უფლება მიენიჭა 3 კომპანიას.
⇒ 2020-2021 წლებში, განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები და კოოპერატივებისთვის აგრო-სასურსათო პროდუქტს, ბრენდს და/ან სასაქონლო ნიშანების დარეგისტრირება დაიწყება 2022 წლიდან;

⇒ სოფლად არასასოფლო სამეურნეო მიმართლდებით დასაქმებული ქალების რაოდენობამ 2020 წელს შეადგინა 112,000 (საბაზისო მაჩვენებელი ციფრებში), 2021 წლის მაჩვენებელი დამუშავების პროცესშია (მუშავდება);

**1.2 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი აქტივობების საპროგნოზო ბიუჯეტი 175,063,500 ლარით განისაზღვრა. 2021 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 230,353,262.5 ლარი.**

- **აქტივობა 1.2.1: შემუშავდება ქვევიდან ზევით პრინციპით ინიციატივების მხარდაჭერის კრიტერიუმები**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/პოლიტიკის კორდინაციისა და ანალიტიკის დეპარტამენტი / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: ინტეგრირებული მიდგომის განვითარება

**განხორციელებული ღონისძიებები**

დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ განისაზღვრა ქვევიდან ზევით პრინციპით ინიციატივების მხარდაჭერის კრიტერიუმები. აღნიშნული კრიტერიუმები პირველადი ვერსია შემუშავდა უცხოელი კონსულტანტის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს დაგეგმილი იყო ქვევიდან ზევით პრინციპით ინიციატივების მხარდაჭერის კრიტერიუმების შემუშავება. საანგარიშო პერიოდში, მიმდინარებდა მუშაობა აღნიშნულ კრიტერიუმებზე, ინდიკატორი შესრულდა 51%-ით.

აქტივობის განხორციელება ცალკე დამტკიცებულ ბიუჯეტს არ საჭიროებდა.

| ამოცანა 1.2. სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.1: ქვევიდან ზევით პრინციპით ინიციატივების მხარდაჭერის კრიტერიუმების შემუშავება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / პოლიტიკისა და |

| | |
|---|---|
| | ანალიტიკის დეპარტამენტი / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, შემუშავდება ქვევიდან ზევით პრინციპით ინიციატივების მხარდაჭერის კრიტერიუმები | **შესრულებული:**<br>2021 წელს, ინდიკატორი შესრულდა 51 %-ით, მიმდინარეობს მუშაობა კრიტერიუმებზე |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 0 ლარი | **ფაქტობრივი:** 0 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

### 1.2.2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გადამამუშავებელი დანადგარებით აღჭურვა

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: საქართველოში რძისა და ყურძნის ნაწარმის წარმოების ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფარგლებში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი რძის და ყურძნის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბების სტიმულირება, ადგილობრივად წარმოებული ნაწარმის ხარისხის და კონკურენტუნარიანობის ამაღლება, კოოპერატივებში არსებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების ხელშეწყობა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.

აქტივობის მიზანი: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა.

### განხორციელებული ღონისძიებები

2021 წელს მერძევეობის მიმართულებით მოქმედ კოოპერატივების წარმომადგენლებთან გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები მიმდინარე პროგრამის პირობებთან და დარგში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით.

კოოპერატივების კანონში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, კოოპერატივების მიერ საკუთარი წესდებების კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა.

2021 წელს აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

1) ***<u>რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა:</u>***
   - ✓ იმ ბენეფიციარების რაოდენობა, ვისთანაც გაფორმდა ხელშეკრულება - 5;
   - ✓ სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობა დამტკიცებულ პროექტებში - 481,013 ლარი.

2021 წელს მეფუტკრეობის მიმართულებით მოქმედ კოოპერატივების წარმომადგენლებთან გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები მიმდინარე პროგრამის პირობებთან და დარგში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით.

კოოპერატივების კანონში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, კოოპერატივების მიერ საკუთარი წესდებების კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა.

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

- იმ ბენეფიციარების რაოდენობა, ვისთანაც გაფორმდა ხელშეკრულება - 6;
- სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობა დამტკიცებულ პროექტებში - 99,991 ლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი იყო 9 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის აღჭურვა ნედლეულის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოსათვის საჭირო აღჭურვილობებით. საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში ჯამურად გაფორმდა 5 ხელშეკრულება და სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობამ დამტკიცებულ პროექტებში შეადგინა 481,013 ლარი, ხოლო 12 კოოპერატივი აღიჭურვა ნედლეულის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოსათვის საჭირო აღჭურვილობებით.

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი იყო 5 კოოპერატივის აღჭურვა თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო/დანადგარებით. საანგარიშო პერიოდში, გაფორმდა 6 ხელშეკრულება და სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობამ დამტკიცებულ პროექტებში შეადგინა 99,991 ლარი, ხოლო 5 კოოპერატივი აღიჭურვა თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო/დანადგარებით.

| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით;ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გადამამუშავებელი დანადგარებით აღჭურვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2021 - 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, 9 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი აღიჭურვება ნედლეულის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოსათვის საჭირო აღჭურვილობებით | **შესრულებული:**<br>2021 წელს, 12 კოოპერატივი აღიჭურვა ნედლეულის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოსათვის საჭირო აღჭურვილობებით. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 3,500,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 2,693,452.31 ლარი |

| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით;ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.2: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გადამამუშავებელი დანადგარებით აღჭურვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2021 - 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, განხორციელდება 5 კოოპერატივის აღჭურვა თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო/დანადგარებით. | **შესრულებული:**<br>2021 წელს, 5 კოოპერატივი აღიჭურვა თაფლის წარმოებისთვის საჭირო ხელსაწყო/დანადგარებით. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 150,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 91,171.20 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

- **აქტივობა 1.2.3: თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ეფექტური გამოყენება მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წლის განმავლობაში სახელმწიფო პროგრამაში „დანერგე მომავალი“ განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტის კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტი (შემდგომში - ქვეკომპონენტი) გაუქმდა. აღნიშნული ქვეკომპონენტის პროგრამაში დამატება განხორციელდა 2018 წლის მაისის თვიდან და მისი შექმნის აუცილებლობა გამოწვეული იყო სოციალური ხასიათიდან გამომდინარე. კერძოდ, ქვეკომპონენტის ფარგლებში აქცენტები გაკეთდა ისეთი პოტენციური ბენეფიციარების ჩართვაზე პროგრამაში, როლებსაც არ ჰქონდათ საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ პროგრამაში, მაგრამ გააჩნდათ ქვეკომპონენტის ამოქმედებამდე საკუთრებაში/თანასაკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, სადაც ისინი სააგენტოს 100% დაფინანსებით მოახერხებდნენ არანაკლებ 0.15 ჰა-დან არაუმეტეს 0.5-ჰა-ზე ფართობზე პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული სახეობების მიხედვით შესაბამისი კენკროვანი კულტურების ბაღების გაშენებას და მოწყობას სარწყავ სისტემასთან ერთად. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, სამომავლოდ პროგრამის ბიუჯეტი მთლიანად მიმართულიყო და სააგენტოს თანამონაწილეობით დაფინანსებულიყო პროგრამის სხვა კომპონენტები;
- სუფრის ყურძნისა და საღვინე ვაზის კულტურის თანადაფინანსება გაუქმდა. აღნიშნული ცვლილების აუცილებლობა გამოწვეული იყო იმ ობიექტური გარემოებით, რომ საქართველოს მასშტაბით ისედაც ჭარბი და უხვი რაოდენობითაა აღნიშნული კულტურა

წარმოდგენილი და სახელმწიფოს სხვა პროექტებით/პროგრამებით ხდებოდა მათი მიღების, გადამუშავებისა თუ რეალიზაციის ხელშეწყობა;

- განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც დამატებით პოტენციური ბენეფიციარებისათვის პროგრამაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას ზრდის. კერძოდ, დაიშვა სს საპარტნიორო ფონდისაგან იჯარით აღებული მიწების ჩართვის შესაძლებლობა პროექტის ფარგლებში. სს საპარტნიორო ფონდი წარმოადგენს სახელმწიფო საინვესტიციო ფონდს და საკუთრებაში გააჩნია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. რელევანტური იქნებოდა თუ მოხდებოდა პროგრამის ფარგლებში მათთან იჯარით აღებული მიწის ნაკვეთების პროგრამაში ჩართვის დაშვება.

ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, აქტიურად ვერ ხორციელდებოდა პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ბაღების მონახულება და ვიზიტები მუნიციპალიტეტებში.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამის ,,დანერგე მომავალი“ ბაღების კომპონენტის ფარგლებში განაცხადების მიღება ხორციელდება, უკვე მხოლოდ ელექტრონულად, პროგრამული უზრუნველყოფით.

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

- საანგარიშო პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებების (პროექტების) რაოდენობა - 1,114 (აქედან: ბაღების კომპონენტის ფარგლებში 557 ხელშეკრულებაა გაფორმებული; კენკროვნების დაფინანსების ქვეკომპონენტის (100%-იანი დაფინანსება) ფარგლებში 418 ხელშეკრულებაა გაფორმებული; სანერგეს კომპონენტის ფარგლებში 1 ხელშეკრულებაა გაფორმებული; დაზიანებული ნერგების ჩანაცვლების კომპონენტის ფარგლებში 1 ხელშეკრულებაა გაფორმებული; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში 6 ხელშეკრულებაა გაფორმებული; შესაწამლი აპარატის შესყიდვის დაფინანსების კომპონენტის ფარგლებში 1 ხელშეკრულებაა გაფორმებული; წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის კომპონენტის ფარგლებში 45 ხელშეკრულებაა გაფორმებული; ჭის/ჭაბურღილის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში 85 ხელშეკრულებაა გაფორმებული.);
- საანგარიშო პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით ჯამური ფართობი - 4,390.21 ჰა (აქედან: ბაღების კომპონენტის ფარგლებში დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 3,454.05 ჰა-ს; კენკროვნების დაფინანსების ქვეკომპონენტის (100%-იანი დაფინანსება) ფარგლებში დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 165.55 ჰა-ს; დაზიანებული ნერგების ჩანაცვლების კომპონენტის ფარგლებში დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 0.78 ჰა-ს; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 63.63 ჰა-ს; წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის კომპონენტის ფარგლებში დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს

236.94 ჰა-ს; ჭის/ჭაბურღილის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში დაკონტრაქტებული ფართობი შეადგენს 469.26 ჰა-ს.);

- საანგარიშო პერიოდში სააგენტოს თანადაფინანსება გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით - 34,932,706 ლარი (აქედან: ბაღების კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 27,028,532 ლარს; კენკროვნების დაფინანსების ქვეკომპონენტის (100%-იანი დაფინანსება) ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს დაფინანსება შეადგენს 5,630,562 ლარს; სანერგეს კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 250,000 ლარს; დაზიანებული ნერგების ჩანაცვლების კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 7,500 ლარს; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 306,450 ლარს; შესაწამლი აპარატის შესყიდვის დაფინანსების კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 5,000 ლარს; წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 540,738 ლარს; ჭის/ჭაბურღილის მოწყობის კომპონენტის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს 1,163,924 ლარს.);
- საანგარიშო პერიოდში ბაღების კომპონენტის და კენკროვნების დაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში გაშენებული ბაღების ფართობი შეადგენს 3,746.95 ჰა.

იმის მიუხედავად, რომ პროგრამა მე-7 წელია მიმდინარეობს, არ კლებულობს პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა, რაც შესაბამისად აისახება გაშენებული ბაღების ფართობზე. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტის ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი მიმდინარეობდა გეგმიურად, დამატებით აქტივობები არ ყოფილა დაგეგმილი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო დამატებით 2,150 ჰა ახალი ბაღის გაშენება/დაკონტრაქტება. საანგარიშო პერიოდში გაშენდა/დაკონტრაქტდა 3,619.59 ჰა ფართობის ინტენსიური და ნახევრადინტენსიური ტიპის ბაღი (აქედან, კენკროვნების ქვეკომპონენტის (100%-იანი დაფინანსება) ფარგლებში გაშენდა/დაკონტრაქტდა 165.55 ჰა).

| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით;ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.3: თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა |

| | |
|---|---|
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2021 - 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, გაშენდება/დაკონტრაქტდება დამატებით 2,150 ჰა ახალი ბაღი. | **შესრულებული:**<br>2021 წელს, გაშენდა/დაკონტრაქტდა 3,619.59 ჰა ფართობის ახალი ბაღი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 18,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 39,100,249.42 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებ ის პროცესი დასრულებულ ია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 1.2.4: ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის ბიო ჩაის) წარმოების ზრდის ხელშეწყობა, შედეგად, თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია; მოსახლეობის დასაქმება და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; ჩაის პირველადი გადამამუშავებელი თანამედროვე საწარმოების შექმნის ხელშეწყობა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წლის განმავლობაში, შექმნილი კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა რეაბილიტირებული ჩაის პლანტაციების მონახულება. პროგრამის ცნობადობის კიდევ უფრო ამაღლების მიზნით მოხდა არაერთ ბენეფიციართან კომუნიკაცია, როგორც პროგრამაში ჩართული, ასევე პოტენციური ბენეფიციარების შესახებ და პროგრამის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

2021 წელს რამოდენიმე ბენეფიციარს, ჩაის პირველადი გადამამუშავებელი საწარმოს შენობების ექსპლუატაციაში მიღების აქტების და საწარმოო გეგმის შესრულების

დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადამ მოუწია, პროექტის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულებისათვის. ამ ეტაპზე ყველა ბენეფიციარს დროულად აქვს წარმოდგენილი შესაბამისი ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

- ✓ პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა - 17;
- ✓ სარეაბილიტაციო პლანტაციების ჯამური ფართობი - 611.22 ჰა;
- ✓ რეაბილიტირებული პლანტაციების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჯამური ღირებულება - 2,207,465 ლარი;
- ✓ დამტკიცებულ პროექტებში თანადაფინანსების ოდენობა - 1,535,393 ლარი.

საანგარიშო პერიოდში სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის ხელისშემშლელ ფაქტორებს წარმოადგენდა, პირველ რიგში ქვეყანაში შექმნილი ეპიდ ვითარება, გარდა ამისა სარეაბილიტაციო სამუშაოების შესაბამის აგროვადებში ვერ მოსწრება, ასევე დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების (ჩაის პლანტაციების) რეგისტრაციის დროში გაჭიანურება. ასევე აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში ძალიან ჭიანურდება სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მხრიდან სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების იჯარით გაცემის თანხმობა და შემდგომი პროცესი. აღნიშნული შეფერხებაც მეტ წილად გამოწვეულია არსებული ვითარების გამო. თუმცა ბენეფიციარებთან ყოველდღიური კომუნიკაციით და შესაბამისი საკონსულტაციო და სხვა სახის დახმარებების შედეგად, შესრულების ინდიკატორის სამიზნე ნიშნულები მიღწეულია.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 350 ჰა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 611.22 ჰა ფართობის სრული/ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

***დისბალანსი, ინდიკატორის შესრულების %-სა და ბიუჯეტის ათვისების %-ს შორის, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ პროგრამის განხორციელების წესის შესაბამისად, ბენეფიციარებისთვის სააგენტოს თანადაფინანსების გადარიცხვა ხდება, მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ბენეფიციარი სრულად დაასრულებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ აქტივობებს და წარმოადგენს შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.***

| |
|---|
| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით;ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა |

| | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.4: ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2021 - 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, განხორციელდება 350 ჰა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია. | **შესრულებული:**<br>2021 წელს, განხორციელდა 611,22 ჰა ფართობის სრული/ნაწილობრივი ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 500,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 94,945.25 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 1.2.5: სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება, აგროდაზღვევის განვითარების მიზნით**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა; სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება; სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წლის აპრილი-მაისის თვეში გაფორმდა ხელშეკრულებები 8 სადაზღვევო კომპანიასთან. პროგრამის მიმდინარეობა გაშუქდა სხვადასხვა ტელევიზიის საშუალებით. განხორციელდა სადაზღვევო პოლისების დოკუმენტური მონიტორინგი და გადაირიცხა სახელმწიფო სუბსიდია. მიმდინარეობდა კონსულტაციები სადაზღვევო კომპანიებთან და საერთაშორისო კონსულტანტებთან აგროდაზღვევის პროგრამაში შესაძლო ცვლილებებთან და ახალი სადაზღვევო პროდუქტების შემუშავებასთან დაკავშირებით.

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

- ✓ გაცემული პოლისების რაოდენობა - 19,478;
- ✓ დაზღვეული მოსავლის ღირებულება - 184,999,507 ლარი;
- ✓ დაზღვეული მოსავლის ფართობი - 19,118.57 ჰა;
- ✓ სააგენტოს სადაზღვევო პრემიის წილი (სააგენტოს თანადაფინანსება) - 9,487,790 ლარი.

2021 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა იმისათვის, რომ ყოფილიყო გაანალიზებული ყველა ის საკითხი და პრობლემა, რომლებსაც ჰქონდა ადგილი წინა წლებში და მომხდარიყო ამ ფაქტორების გათვალისწინება პროგრამაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა მომავალი წლის პროგრამის მაღალი ეფექტურობით განხორციელებას.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილ იყო დაახლოებით 21,000 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის დაზღვევა. საანგარიშო პერიოდში, დაზღვეულ იქნა 19,118.57 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით;ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.5: აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2021 - 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, დაზღვეული იქნება დაახლოებით 21,000 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი. | **შესრულებული:**<br>2021 წელს, დაზღვეულ იქნა 19,118.57 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 8,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 9,980,750.44 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჯერ არ დაწყებულა | | | | დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 1.2.6: აგროკრედიტების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება**

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი:</u> სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესებისათვის ხელშეწყობა, ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წლის განმავლობაში, ხორციელდებოდა კონსულტაციები სესხის აღების შესაძლებლობებთან და შესაბამის პროცედურებთან დაკავშირებით. კონსულტაციები გაეწიათ როგორც პროექტის პოტენციურ და არსებულ ბენეფიციარებს, ასევე, საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებს. კონსულტაციებში აქტიურად იყო ჩართული სააგენტოს საინფორმაციო სამსახური (ქოლ ცენტრი). გაკეთდა პრეზენტაციები და სატელევიზიო რეპორტაჟები. აგრეთვე, პროგრამის ცნობადობის და ხელმისაწვდომობის ამაღლების მიზნით განხორციელდა ვიზიტები სხვადასხვა რეგიონებში და მომზადდა რეპორტაჟები ახალი საწარმოების შექმნის და არსებული საწარმოების გადაიარაღების/გაფართოების შესახებ.

2021 წელს პროექტში განხორციელდა რამოდენიმე ცვლილება, კერძოდ: პროექტს დაემატა ახალი მიზნობრიობა, როგორიც არის ენერგოეფექტური საწარმოების დაფინანსება და ხე-ტყის დამამზადებელი ტექნიკის და იმპლემენტების დაფინანსება. ასევე, საბრუნავი საშუალებების კომპონენტში ამოქმედდა ყურძნის და ვაშლის შემსყიდველი საწარმოების დაფინანსების ქვეკომპონენტები. ყურძნის შემსყიდველი საწარმოების ქვეკომპონენტში, გარდა ყურძნის შესყიდვის მიზნობრიობისა დაემატა ბოთლის, საცობის, ჩაჩის და ყუთის შეძენის მიზნობრიობა.

აქტივობის ფარგლებში, 2021 წელს, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- გაცემული სესხების რაოდენობა - 7,957;
- უნიკალური ბენეფიციარების რაოდენობა - 7,001;
- გაცემული სესხის ოდენობა - 859,629,603 ლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 12,200 შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 20,827 შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება (მომსახურება გაეწია).

| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით;ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | პროგრამა 1.2.6: აგროკრედიტების საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 - 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, განხორციელდება 12,200 შეღავათიანი სასოფლო - სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება. | **შესრულებული:**<br>2021 წელს, განხორციელდა 20,827 შეღავათიანი სასოფლო - სამეურნეო სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 115,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 136,197,456.18 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებები ს პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელე ბის პროცესი დასრულებუ ლია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 1.2.7: ფერმერებისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება**

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი:</u> პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის შესაბამის აგრო ვადებში აგრო ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება. ქვეყანაში მექანიზაციის ბაზის გაძლიერება. ამ მიზნით, პროგრამა ითვალისწინებს მოსავლის ამღები ტექნიკის 30% და 50%-ის ოდენობით თანადაფინანსებას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში 2021 წლის განმავლობაში განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის ამღები ტექნიკის თანადაფინანსება საქართველოს ყველა რეგიონისათვის. პროგრამის პოპულარიზაციისთვის და პირობების უკეთ გასაცნობად ჩატარდა ტრენინგები რეგიონში არსებული საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლებისათვის. 2021 წლის განმავლობაში პროგრამით ისარგებლა 88 ბენეფიციარმა. ქვეყანაში შემოვიდა 11 მილიონამდე ღირებულების ახალი მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სპეც. ტექნიკა.

2021 წელს, პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

- გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა - 89;
- პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა - 88;
- სააგენტოს თანადაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში - 4,533,741 ლარი;
- ჯამური ინვესტიცია დამტკიცებულ პროექტებში - 10,748,411 ლარი.

პროექტის განხორციელების პროცესის შეფერხების რისკს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარება და მისგან გამოწვეული შეზღუდვები.

ამ ხელისშემშლელი ფაქტორის შესამცირებლად, ხორციელდებოდა ბენეფიციარებთან კომუნიკაცია, რათა დაჩქარებულიყო პროექტების განხორციელების ფარგლებში წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრის პროცესი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 65 ბენეფიციარისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 88 ბენეფიციარისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება.

| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.7: ფერმერებისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2021 - 31.12.2021 |

| შესრულების ინდიკატორები | |
|---|---|
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, განხორციელდება 65 ბენეფიციარისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება | **შესრულებული:**<br>2021 წელს, განხორციელდა 88 ბენეფიციარისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 5,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 4,458,048.85 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელე ბის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებ ის პროცესი დასრულებულ ია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 1.2.8: შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა/გადაიარაღების თანადაფინანსება**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: მუნიციპალიტეტებში ახალი გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა და უმოქმედო საწარმოების რეაბილიტაცია; გადამამუშავებელი საწარმოების გეოგრაფიული დივერსიფიკაცია; სანედლეულო ბაზის განვითარება; სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წელს მიღებულია შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოს შექმნით დაინტერესებული ბენეფიციარების განაცხადები, დოკუმენტები და ბიზნეს გეგმები. წლის განმავლობაში შემოსული განაცხადების საფუძველზე დაიწყო 63 ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოს თანადაფინანსება. ამასთან, დასრულდა 19 საწარმოს მშენებლობა.

2021 წელს, პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

- პროექტის ფარგლებში ახლად შექმნილი საწარმოების რაოდენობა - 19;
- იმ მუნიციპალიტეტების რაოდენობა, რომლებშიც შეიქმნა ახალი საწარმოები - 9;
- შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტის ფარგლებში დამტკიცებული ახალი პროექტების რაოდენობა - 63;
- დამტკიცებული განაცხადების ჯამური ღირებულება - 87,011,012 ლარი;

- სააგენტოს თანადაფინანსების ოდენობა დამტკიცებულ პროექტებში - 28,916,973 ლარი.

პროექტის დაწყებიდან 31.12.2021 პერიოდში შექმნილი/დასრულებული საწარმოების რაოდენობამ შეადგინა 88 საწარმო. ხოლო იმ მუნიციპალიტეტების რაოდენობამ, სადაც მდებარეობს აღნიშნული საწარმოები, შეადგინა 33 მუნიციპალიტეტი.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ჯამურად განხორციელებული და განხორციელების პროცესში არსებული პროექტების რაოდენობამ შეადგინა 162 ერთეული (68 გადამამუშავებელი და 94 შემნახველი საწარმო).

პროექტის განხორციელების პროცესში საწარმოთა შექმნის რისკს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარება და მისგან გამოწვეული შეზღუდვები, სავალუტო კურსის მერყეობა, ვინაიდან ოპერაციები ხორციელდება სხვადასხვა ვალუტაში (ლარში, აშშ დოლარში, რუბლში და ევროში). ასევე, შეფერხება შესაძლოა გამოიწვიოს კლიმატურმა პირობებმა, რადგან პროექტები ხორციელდება რეგიონებში და სამშენებლო სამუშაოები შემოდგომის მიწურულიდან შუა გაზაფხულამდე ზოგიერთ რეგიონში ფაქტობრივად ჩერდება.

ამ ხელისშემშლელი ფაქტორების შესამცირებლად, ხორციელდებოდა ბენეფიციარებთან კომუნიკაცია, რათა დაჩქარებულიყო პროექტების განხორციელების ფარგლებში წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრის პროცესი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი იყო, რომ სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდება 25 გადამამუშავებელი საწარმოს ან/და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა. საანგარიშო პერიოდში სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდა 50 გადამამუშავებელი საწარმოს ან/და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა.

| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.8: შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა/გადაიარაღების თანადაფინანსება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2021 - 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |

| დაგეგმილი: | შესრულებული: |
|---|---|
| 2021 წელს, სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდება 25 გადამამუშავებელი საწარმოს ან/და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა. | 2021 წელს, სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსდა 50 გადამამუშავებელი საწარმოს ან/და შემნახველი ინფრასტრუქტურის შექმნა. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 12,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 12,325,735.67 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებ ის პროცესი დასრულებულ ია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 1.2.9: ხარისხის სქემების განვითარება და მხარდაჭერა ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სოფლის მეურნეობის, სურსათისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტი

აქტივობის მიზანი: ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია

**განხორციელებული ღონისძიებები**

საანგარიშო პერიოდში შემუშავებულია ხუთი პროდუქტის სპეციფიკაცია. კერძოდ: ქვევრი, ხეთის მანდარინი, მუხურის თაფლი, რომელიც უკვე დარეგისტრირებულია, ხოლო ტყემალი და აჯიკა შემუშავებულია და რეგისტრაციის პროცესშია.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 დაგეგმილი იყო 4 ახალი გეოგრაფიული აღნიშვნის სპეციფიკაციის შემუშავება. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა 5 ახალი გეოგრაფიული სპეციფიკაცია, შესაბამისად, ინდიკატორი გადაჭარბებით შესრულდა.

აქტივობის განხორციელება ცალკე დამტკიცებულ ბიუჯეტს არ საჭიროებდა.

| |
|---|
| ამოცანა 1.2: სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა |

| | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.9: ხარისხის სქემების განვითარება და მხარდაჭერა ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სოფლის მეურნეობის, სურსათისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, შემუშავდება 4 ახალი გეოგრაფიული აღნიშვნის სპეციფიკაციები | **შესრულებული:**<br>2021 წელს, შემუშავდა 5 ახალი გეოგრაფიული სპეციფიკაციები |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: 0 ლარი | **ფაქტობრივი**: 0 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელე ბის პროცესი დასრულებუ ლია |
| | სტატუსი | | | | | X |

- **აქტივობა 1.2.10: ინდუსტრიების მიმართულებით კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსება**

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/სსიპ აწარმოე საქართველოში;

<u>აქტივობის მიზანი:</u> საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმის მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნისა და არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წლის განმავლობაში სულ სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" მიერ, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, გაფორმდა ხელშეკრულებები 91 ბენეფიციარ კომპანიასთან კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსებაზე. სულ 2021 წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გადაირიცხა 5.9 მლნ ლარი გადაირიცხა საწარმოებზე.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 10 ახალი ან/და არსებული საწარმოს გაფართოების პროექტის მხარდაჭერა. საანგარიშო პერიოდში, ხელშეკრულება გაფორმდა 91 ბენეფიციართან, ხოლო თანადაფინანსებით მხარი დაეჭირა 101 საწარმოს.

| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.10: ინდუსტრიების მიმართულებით კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/სსიპ აწარმოე საქართველოში |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, რეგიონებში სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში, ბენეფიციარი კომპანიების კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსების მიმართულებით ყოველწლიურად მხარი დაეჭირება დაახლოებით 10 ახალ ან/და არსებული საწარმოს გაფართოების პროექტს. | **შესრულებული:**<br>2021 წელს, რეგიონებში სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში, ბენეფიციარი კომპანიების კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსების მიმართულებით მხარი დაეჭირა 101 ახალ ან/და არსებული საწარმოს გაფართოების პროექტს. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 3,500,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 5,914,699.40 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელება ბის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელები ს პროცესი დასრულებული ა |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 1.2.11: სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება/გაფართოების მიმართულებით კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსება**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/სსიპ აწარმოე საქართველოში

აქტივობის მიზანი: რეგიონებში სასტუმრო ბიზნესის განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მეტი დამსვენებლის მოზიდვა და რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წლის განმავლობაში სსიპ სააგენტოს "აწარმოე საქართველოში" მიერ, პროგრამის „აწარმოე საქართველოში" ფარგლებში, გაფორმდა ხელშეკრულებები 68 ბენეფიციარ კომპანიასთან კრედიტის პროცენტის თანადაფინანსებაზე. სულ 2021 წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გადაირიცხა 11,414,808.40 ლარი სასტუმროებზე.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 15 ახალი ან/და არსებული სასტუმროს გაფართოების პროექტის მხარდაჭერა. საანგარიშო პერიოდში, ხელშეკრულება გაფორმდა 68 ახალ ან/და არსებულ სასტუმროს გაფართოების პროექტთან დაკავშირებით. ამავე პერიოდში პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსებით მხარი დაეჭირა 96 პროექტს.

| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.11: სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება/გაფართოების მიმართულებით კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო/სსიპ აწარმოე საქართველოში |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, რეგიონებში სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულების ფარგლებში ყოველწლიურად მხარი დაეჭირება 15 ახალ ან/და არსებული სასტუმროს გაფართოების პროექტს | **შესრულებული:**<br>2021 წელს, რეგიონებში სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულების ფარგლებში სესხის პროცენტის თანადაფინანსების პროგრამით მხარი დაეჭირა 96 სასტუმროს |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 2,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 11,414,808 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |

| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია | განხორციელები ს პროცესი შეწყვეტილია | განხორციელები ს პროცესი დასრულებული ა |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სტატუსი | X | | | | |

- **აქტივობა 1.2.12: სასათბურე კლასტერის მოწყობა**

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო; შპს"იმერეთის აგრო ზონა"

<u>აქტივობის მიზანი:</u> დასავლეთ საქართველოს ტრადიციული საექსპორტო დარგის, კერძოდ სასათბურე სექტორის (მწვანილის და სასათბურე ბოსტნეულის) საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების სტიმულირება და შედეგად საექსპორტო შემოსავლების ზრდა; ტრადიციული საექსპორტო დარგებისათვის ახალ ბაზრებზე წვდომის ხელშეწყობა და შედეგად საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია; სექტორში ტრადიციულად ჩართული მეწარმეებისათვის (წვრილი და საშუალო) შემოსავლების გაზრდის წინაპირობების შექმნა, ახალი შესაძლებლობების გამოყენების გზით; ქვეყნის მასშტაბით სასათბურე სექტორის მოდერნიზაციისა და ცოდნის გაზიარების ნიმუშის შექმნა; ქუთაისის ლოგისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბების წინაპირობების შექმნა.

*<u>ამოცანები:</u>* სურსათის უვნებლობის სტანდარტების მქონე, საერთაშორისო ვაჭრობისთვის აუცილებელი, კრიტიკული რაოდენობის პირველადი საწარმოების შემჭიდროვებულ ვადებში შექმნის სტიმულირება; მოსავლის შემდგომი დამუშავების თანამედროვე საწარმოს შექმნის სტიმულირება; აგრო ზონის გამართული ფუნქციონირებისათვის ყველა აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა; სასათბურე მეურნეობების კლასტერის შექმნა და განვითარება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წელს განხორციელდა საერთაშორისო წინასწარი ინტერესთა გამოხატვა 1 მარტიდან 30 აპრილის ჩათვლით. გამოცხადებული საერთაშორისო წინასწარი ინტერესთა გამოხატვის დროს შპს „იმერეთის აგრო ზონამ" მიიღო 48 წინადადება 8 სხვადასხვა ქვეყნიდან. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ინტერესთა გამოხატვა იყო არავალდებულებითი პროცესი.

2021 წელს, ასევე განხორციელდა წინადადებების მიღების პროცესი 1 ნოემბრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულ პროცესში შპს „იმერეთის აგრო ზონამ" მიიღო 29 წინადადება 10 სხვადასხვა ქვეყნიდან. აღსანიშნავია, რომ წინადადებების მიღების პროცესში მონაწილე აპლიკანტებთან არიან პროექტის პოტენციური ბენეფიციარები.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს განხორციელდება საერთაშორისო ინტერესთა წინასწარი გამოხატვა და ჩატარდება ინვესტორების შესარჩევი ტენდერი. 2021 წელს განხორციელდა საერთაშორისო წინასწარი ინტერესთა გამოხატვა 1 მარტიდან 30 აპრილის ჩათვლით. გამოცხადებული საერთაშორისო წინასწარი ინტერესთა გამოხატვის დროს შპს „იმერეთის აგრო ზონამ" მიიღო 48 წინადადება 8 სხვადასხვა ქვეყნიდან. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ინტერესთა გამოხატვა იყო არავალდებულებითი პროცესი. აღნიშნული ინტერესთა გამოხატვის საფუძველზე, 2021 წლის 1 ნოემბერს გამოცხადდა სავალდებულო წინადადებების მიღება.

2021 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენდა 0.00 ლარს, ბიუჯეტის ვერ დაგეგმვა გამოწვეული იყო იმით, რომ დაგეგმილი ბიუჯეტის ფორმირებისას, არ იყო ცნობილი, კონკრეტულად რა შედეგებით დასრულდებოდა „იმერეთის აგროზონის პროექტის" ფარგლებში 2021 წელს განსახორციელებელი საერთაშორისო ინტერესთა წინასწარი გამოხატვის პროცესი. მას შემდეგ, რაც განხორციელდა საერთაშორისო ინტერესთა წინასწარი გამოხატვა, მიღებული შედეგების შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ გამოიყო 2 მლნ. ლარი, 2021 წელს განსახორციელებელი შემდგომი აქტივობების დასაფინანსებლად და ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 2,000,000.00 ლარი.

| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.12: სასათბურე კლასტერის მოწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო; შპს"იმერეთის აგრო ზონა" |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2021 - 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს განხორციელდება საერთაშორისო ინტერესთა წინასწარი გამოხატვა და ჩატარდება ინვესტორების შესარჩევი ტენდერი. | **შესრულებული:**<br>2021 წელს განხორციელდა საერთაშორისო წინასწარი ინტერესთა გამოხატვა და გამოცხადდა სავალდებულო წინადადებების მიღება. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 0.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 2,000,000.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებ ის პროცესი დასრულებული ა |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 1.2.13: არასასოფლო-სამეურნეო და განახლებადი ენერგიების/ენერგო ეფექტურობის მიმართულების პროექტების თანადაფინანსება**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: სოფლად არასასოფლო-სამეურნეო სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტიმულირებას, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ეკონომიკურ დივერსიფიკაციას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევა და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენება.

**განხორციელებული ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში 2021 წლის განმავლობაში მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში (ხულო, ქედა, ბორჯომი, ახალქალაქი, დედოფლისწყარო, თეთრიწყარო, ლაგოდეხი, ყაზბეგი) დაფინანსდა, როგორც არსებული საწარმოები, ასევე ახალი სტარტ-აპ ბიზნესი. პროგრამის პოპულარიზაციისთვის და პირობების უკეთ გასაცნობად ჩატარდა ტრენინგები რეგიონში არსებული საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლებისათვის. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებისა და ენერგო ეფექტური პროექტები.

2021 წელს, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

- გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა - 35;
- პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების რაოდენობა - 35;
- სააგენტოს თანადაფინანსება დამტკიცებულ პროექტებში - 3,501,744 ლარი;
- ჯამური ინვესტიცია დამტკიცებულ პროექტებში - 4,894,158 ლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო, რომ სააგენტოს თანადაფინანსებას მიიღებს 30 ბენეფიციარი. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 35 ბენეფიციარის დაკონტრაქტება/თანადაფინანსება.

| |
|---|
| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა |

| | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.13: არასასოფლო-სამეურნეო და განახლებადი ენერგიების/ენერგო ეფექტურობის მიმართულების პროექტების თანადაფინანსება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2021 - 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, სააგენტოს თანადაფინანსებას მიიღებს 30 ბენეფიციარი. | **შესრულებული:**<br>2021 წელს, განხორციელდა 35 ბენეფიციარის დაკონტრაქტება/თანადაფინანსება. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 6,413,500.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 3,991,155.78 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 1.2.14: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობა სახელმწიფო სუბსიდირებით (COVID-19-ის გამოწვევების საპასუხოდ)**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო.

აქტივობის მიზანი: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოების ხელშეწყობა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების სტიმულირების გზით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წელს, სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ გაგრძელდა პროექტის ბენეფიციარებისთვის შესაბამისი აგრო ბარათების დარიგება და სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისი აგრო-ქულების დარიცხვა. პროექტის ბენეფიციარებს, დარიცხული აგროქულებით, სასოფლო-სამეურნეო საქონლის შეძენა შეეძლოთ, სააგენტოს კონტრაქტორ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლის რეალიზაციის კომპანიებთან, რომელთაც სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსგან მიღებული აქვთ მუდმივ მოქმედი აღიარება.

2021 წელს, პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

- ✓ სავაჭრო ობიექტების რაოდენობა (რაოდენობა მზარდია) – 449;
- ✓ ფერმერების რაოდენობა, რომელთა ბარათებზე დარიცხულია ქულები - 12,638;
- ✓ ბარათებზე დარიცხული სუბსიდიის ოდენობა (ლარი) – 1,395,048 ლარი;
- ✓ ფერმერთა რაოდენობა, რომლებმაც გამოიყენეს აგრობარათები - 103,857;
- ✓ ათვისებული სუბსიდიის ოდენობა (ლარი) – 3,383,746 ლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, სუბსიდიას მიიღებს 12,000 ბენეფიციარი (ფერმერი/სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე). საანგარიშო პერიოდში სუბსიდია მიიღო 12,638 ბენეფიციარმა (ფერმერი/სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე).

| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.14: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობა სახელმწიფო სუბსიდირებით (COVID-19-ის გამოწვევების საპასუხოდ) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2021 - 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, სუბსიდიას მიიღებს 12,000 ბენეფიციარი (ფერმერი/სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე). | **შესრულებული:**<br>2021 წელს, სუბსიდია მიიღო 12,638 ბენეფიციარმა (ფერმერი/სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის მესაკუთრე). |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** <u>1,000,000.00 ლარი</u> | **ფაქტობრივი:** <u>2,090,789.99 ლარი</u> |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

- **აქტივობა 1.2.15: კოოპერატივების ან/და მწარმოებელთა ასოციაციების ბიზნეს-საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.4.)**

| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით;ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.15: კოოპერატივების ან/და მწარმოებელთა ასოციაციების ბიზნეს-საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.4.) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.07.2020 - 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს, 35 კოოპერატივი ან/და მწარმოებელთა ასოციაცია მიიღებს მინიმუმ ერთ საწარმოო სესხს კომერციული ბანკიდან ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან 01.07.2020-31.12.2022 პერიოდში | **შესრულებული:**<br>2020-2021 წლებში, 10-მა კოოპერატივმა ან/და მწარმოებელთა ასოციაციამ მიიღო მინიმუმ 1 საწარმოო სესხი კომერციული ბანკიდან ან მიკროსაფინანსოდან. |

- **აქტივობა 1.2.16: აგრო-სასურსათო პროდუქციის მწარმოებელთა ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.5.)**

| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით;ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.16: აგრო-სასურსათო პროდუქციის მწარმოებელთა ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.5.) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქარართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/მარკეტინგული საბჭო /სოფლის მეურნეობის, სურსათისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 - 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს, დამატებით 30 აგრო-სასურსათო პროდუქციის მწარმოებელი, მიიღებს მინიმუმ ერთ ხარისხის ნიშანს 01.01.2020 - 31.12.2022 პერიოდში | **შესრულებული:**<br>2020-2021 წლებში, ხარისხის ნიშანის ლოგოს გამოყენების უფლება მიენიჭა 3 კომპანიას. |

- **აქტივობა 1.2.17: კოოპერატივების ბიზნეს-საქმიანობის მოდერნიზების მხარდაჭერა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.8.)**

| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით;ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.17: კოოპერატივების ბიზნეს-საქმიანობის მოდერნიზების მხარდაჭერა (ENPARD IV, ინდიკატორი 1.8.) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 - 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, სულ მცირე 15 კოოპერატივი დაარეგისტრირებს აგრო-სასურსათო პროდუქტს, ბრენდს და/ან სასაქონლო ნიშანს, 2020-2023 წლებში. | **შესრულებული:**<br>2020-2021 წლებში, განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები და კოოპერატივებისთვის აგრო-სასურსათო პროდუქტს, ბრენდს და/ან სასაქონლო ნიშანების დარეგისტრირება დაიწყება 2022 წლიდან. |

- **აქტივობა 1.2.18 სოფლად არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებით ქალების დასაქმების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.9.)**

| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით;ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.18 სოფლად არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებით ქალების დასაქმების ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.9.) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრი სახელმწიფო უწყებები |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 - 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს: სოფლად არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებით დასაქმებული ქალების | **შესრულებული:**<br>სოფლად არასასოფლო სამეურნეო მიმართლდებით დასაქმებული ქალების რაოდენობამ 2020 წელს შეადგინა 112,000 |

| | |
|---|---|
| რაოდენობა 2020 წელთან შედარებით გაიზრდება 10%-ით | (საბაზისო მაჩვენებელი ციფრებში), 2021 წლის მაჩვენებელი დამუშავების პროცესშია (მუშავდება). |

- **აქტივობა 1.2.19. შერჩეული LEADER/CLLD-ის ინიციატივების ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.8.)**

| ამოცანა 1.2 სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით;ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.2.19. შერჩეული LEADER/CLLD-ის ინიციატივების ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.8.) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს წევრი სახელმწიფო უწყებები. |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2020 - 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს: სახელმწიფო დაფინანსებით შეიქმნება და იფუნქციონირებს შერჩეული LEADER/CLLD (რეგისტრირებული/აღიარებული) მიერ ინიცირებული სოფლის განვითარების პროექტების დაფინანსების სისტემა და მექანიზმი | **შესრულებული:**<br>2020-2021 წელს, სახელმწიფო დაფინანსებით შეიქმნება და იფუნქციონირებს შერჩეული LEADER/CLLD (რეგისტრირებული/აღიარებული) მიერ ინიცირებული სოფლის განვითარების პროექტების დაფინანსების სისტემა და მექანიზმი - შემუშავდა კრიტერიუმები და პროგრამის მონახაზი. |

## ამოცანა 1.3 ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია

1.3 ამოცანის შესრულების მიზნით, 2021 წელს 5 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მხარდაჭერა/ღონისძიებების გატარება, ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაციის უზრუნველყოფა, ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარება, სურსათის წარმოების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა და ვენახების კადასტრის აგება. ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის სტრუქტურაში შემავალი სააგენტოების მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2021 წლის განმავლობაში:**

- ⇒ მოხდა ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 4 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება/მიღების უზრუნველყოფა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით;
- ⇒ ჩატარდა ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 2 საერთაშორისო გამოფენა;
- ⇒ მოხდა 77 დეგუსტაციის (მათ შორის ონლაინ დეგუსტაცია) ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება/ მიღების უზრუნველყოფა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით;
- ⇒ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სტრატეგიულ ბაზრებზე დაცულ იქნა 2 ქართული ღვინოსთან დაკავშირებული აღნიშვნა;
- ⇒ რეგისტრირებული იქნა 1 ადგილწარმოების დასახელების ღვინო;
- ⇒ 20 ბენეფიციარმა დანერგა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტები (ISO-22000 / HACCP / GLOBAL G.A.P / BIO / BRC / IFS / FSSC-22000);
- ⇒ შემუშავდა კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ადმინისტრაციული საზღვრების მევენახეობის კადასტრი.

**1.3 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი აქტივობების საპროგნოზო ბიუჯეტი 10,400,000 ლარით განისაზღვრა. 2021 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 9,094,991.4 ლარი**

- **აქტივობა 1.3.1. ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მხარდაჭერა/ღონისძიებების გატარება**

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
 საერთაშორისო ურთიერთობისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტი; სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი:</u> ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია, ქართული ღვინის პოპულარიზაცია და ექსპორტის გაზრდა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წელს - "ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია" (პროგრამული კოდი: 310103) - ფარგლებში, ჩატარდა საერთაშორისო და ასევე, ადგილობრივი გამოფენები:

**ადგილობრივი ღონისძიება:**
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, მსოფლიო ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს ინიციატივით, 2021 წლის 24-26 ნოემბერს, ქ. თბილისში გაიმართა ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს წევრთა 114-ე სესია, მრჩეველთა კომიტეტის 57-ე შეკრება. ზემოაღნიშნულ ღონისძიების ფარგლებში საქართველოს 43 ქვეყნის ზეთისხილის უმსხვილესი მწარმოებლები და რამდენიმე ქვეყნის მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენელი ეწვია.

საქართველო 2019 წლიდან მსოფლიო ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს შეუერთდა, ხოლო 2020 წლიდან საერთაშორისო საბჭოს თავჯდომარე ქვეყნად იქცა.

**საერთაშორისო გამოფენები:**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, 2021 წლის 24-27 სექტემბერს ქ. ლიონში (საფრანგეთის რესპუბლიკა) მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო გასტრონომიული გამოფენა "Sirha 2021"-ში .

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და კატარის სახელმწიფოში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, 2021 წელს 23-28 მარტს, ქ. დოჰაში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო გამოფენაზე „Agriteq2021". აღნიშნულ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 15 ქართული კომპანიის: „გურიელი", „ნათსჯი", „ჩიკორი", „გეო ნატურაი, „აგრითაჩი", „ელექსირ საქართველო", „ნუგბარი", „რუხი 2", „მაგრიტო", „კამპა", „მანნა", „ბორჯომი", „კულა", „Georgia' Natural და Kind&Nobl"-ის პროდუქცია. მსოფლიოში არსებული ეპიდემიური ვითარებისა და შეზღუდვების გამო, ზემოაღნიშნულ გამოფენაზე ქართულ კომპანიებს საქართველოს საელჩო წარმოადგენდა.

2021 წლის 7-9 სექტემბერს, ქალაქ რიმინიში, იტალიაში, ქართულმა მხარემ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო აგრო-გამოფენა „მაკფრუტ 2021"-ში. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყო ქართული სტენდის მოწყობა. „მაკფრუტ 2021"-ში ჩართული იყო 50-მდე ქვეყანის კომპანიები. ზემოაღნიშნულ გამოფენაზე მონაწილეობდა 8 ქართული კომპანია: „ქარელი ფრუტს" (ჩიკორი), „ჯორჯიას ნეიჩერალ", „ლურჯი ველი", „აგროლეინი", „ნათს ჯი", „კავკასუს ორგანიქ ფრუტს", „ავგუსტ ფრუტ ფაქთორი" და „ჯეო ორგანიქი". გამოფენის პროფილიდან გამომდინარე, კომპანიებმა შეძლეს ხილის, ბოსტნეულისა და მათი გადამუშავების შედეგად მიღებული ნაწარმის დემონსტრირება.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაგეგმილი იყო მონაწილეობის მიღება 6 ადგილობრივ / საერთაშორისო გამოფენაში, მაგრამ 2019 წლიდან მსოფლიოში არსებული ეპიდემიური ვითარების და გამო შესრულდა 1 ადგილობრივი ღონისძიება და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მონაწილეობდა 3 საერთაშორისო გამოფენაზე.

**ადგილობრივი ღონისძიება:**

2021 წლის 24-26 ნოემბერს, ქ. თბილისში გამართული ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს წევრთა 114-ე სესიის, მრჩეველთა კომიტეტის 57-ე შეკრებისა და „ზეთისხილის ზეთის სამომავლო ბაზრებზე წვდომის საერთაშორისო სემინარის" ღონისძიებები - 282,679.28 ლარი;

**საერთაშორისო ღონისძიებები:**

1. 2021 წლის 24-27 სექტემბერს ქ. ლიონში (საფრანგეთის რესპუბლიკა) დაგეგმილ საერთაშორისო გასტრონომიული გამოფენა "Sirha 2021"-ში მონაწილეობის მისაღებად, ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით გამოფენის ორგანიზების ღონისძიება - 99,639.20 ლარი;
2. იტალიის რესპუბლიკის ქ. რიმინში 2021 წლის 7-9 სექტემბერს დაგეგმილ საერთაშორისო გამოფენაში „MACFRUT 2021" მონაწილეობის მიზნით, გამოფენის ორგანიზების (64 კვ.მ. საგამოფენო სივრცის გამოყოფა და მოწყობა შესაბამისი სტენდებითა და საჭირო ინვენტარით) ღონისძიება -48,935.41 ლარი;
3. ქ. დოჰაში დაგეგმილი საერთაშორისო აგრო გამოფენა ,,აგრიტექ 2021"-ში მონაწილეობის მიღების მიზნით, ქ. თბილისიდან ქ. დოჰას (კატარის სახელმწიფო) მიმართულებით, ქართული აგროსასურსათო პროდუქციის საჰაერო სატვირთო გადაზიდვისა (107 კგ.) და შესაბამისი სატერმინალო მომსახურების შესყიდვა - 1,657.60 ლარი.

| ამოცანა 1.3: ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.3.1 ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მხარდაჭერა/ღონისძიებების გატარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ევროინტეგრაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, 6 საერთაშორისო და ადგილობრივი გამოფენა | **შესრულებული:**<br>2021 წელს, 4 საერთაშორისო და ადგილობრივი გამოფენა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: 500,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 432,911.49 ლარი |

**სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში**

**განხორციელებული ღონისძიებები:**

23 აპრილს, დიდ ბრიტანეთში ქართული ღვინის ონლაინ დეგუსტაცია გაიმართა. ქართული ღვინის ონლაინ წარდგენას ბრიტანელი ღვინის მაგისტრი სარა ებოტი (სააგენტოს

კონტრაქტორი კომპანია "Swril Wine Group" ხელმძღვანელი) უძღვებოდა და დეგუსტაციას ღვინის პროფესიონალები, ღვინით ვაჭრობის სფეროში დასაქმებული პირები და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, სარა ებოტის შეფასებით, ღონისძიებამ წარმატებით ჩაიარა;. 5 მაის ქართველი მწარმოებლებისთვის ონლაინ სემინარი „გერმანიის ღვინის ბაზარი“ გაიმართა. 18 მაისს, იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გამართული ღონისძიების „მსოფლიოს ორმაგი მემკვიდრეობა“ ფარგლებში გამართული დეგუსტაციის მთავარი კონცეფცია ქართული ღვინის იაპონურ ტრადიციულ სამზარეულოსთან „ვაშოკუ“ შეხამება იყო. 21-24 მაისს, ქართული ღვინო საფრანგეთის პრესტიჟულ გასტრონომიულ ფესტივალზე „SAVIM Printemps Salon des Vignerons et de la Gastronomie“, სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის ”Le Pont Caucasien“ ორგანიზებით იყო წარდგენილი. ფესტივალი ქალაქ მარსელში გაიმართა. 28 მაისს, ქართული ღვინის ონლაინ დეგუსტაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიმართა. მასში 60-მდე ადგილობრივი სომელიე, ღვინის მწერალი და იმპორტიორი, ასევე, ქართველი ღვინის მწარმოებლები მონაწილეობდნენ. 30 მაისს, პოლონეთში, ქალაქ კრაკოვში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „მალინოვა“ ორგანიზებით, ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა. 10 ივნისს, ქართული ღვინის დეგუსტაცია ჰონგ-კონგში ღვინის ადგილობრივი პროფესიონალებისთვის გაიმართა. 12-13 ივნისს, საქართველოში საფერავის მეორე საერთაშორისო კონკურსი გაიმართა. 18 ივნისს, ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში, მონაკოში, სასტუმროში „Le Meridian” ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი გაიმართა. 22 ივნისს ლონდონში  ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა.  წარმოდგენილი იყო 50-ზე მეტი ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის 100-მდე დასახელების ღვინოები. 23 ივნისს, ღვინის სფეროში პრესტიჟულმა გერმანულმა მედია ჰოლდინგმა ქართული ღვინოების შესახებ სტატია გამოაქვეყნა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და გერმანული მარკეტინგული კომპანიის „ff.k Public Relations“ ორგანიზებით, ღვინის სფეროში ერთ-ერთმა ყველაზე პრესტიჟულმა გერმანულმა მედია ჰოლდინგმა „Meininger“ საუკეთესო ქართული ღვინოების შესარჩევად კონკურსი-დეგუსტაცია მაისის თვეში  ჩაატარა. 24 ივნისს სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „მალინოვა“  ორგანიზებით, ქართული ღვინის დეგუსტაცია ქალაქ კრაკოვთან მდებარე ისტორიულ დასახლებაში „Srebrna Gora“ გაიმართა. 30 ივლისს ქალაქ პეკინში, „ქართული ღვინის საპრომოციო ცენტრში“ ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და კონტრაქტორი კომპანიის „მალინოვა“ ორგანიზებით, ქართული ღვინის დეგუსტაციები 17 აგვისტოს კრაკოვსა და 18 აგვისტოს კატოვიცეში გაიმართა. 13 სექტემბერს ქართული ღვინის წარდგენა იაპონიის ქალაქ მაცუმოტოში გაიმართა. 9 სექტემბერს ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და გამომცემლობის ,,Vinisfera“ ორგანიზებით, პოლონეთში, ქალაქ პოზნანში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა. 27 სექტემბერს აშშ-ში, ღვინის ეროვნული სააგენტოს და მარკეტინგული კომპანიის ,,Marq Energie Consulting’’ ორგანიზებით, ქართული ღვინის წარდგენის ღონისძიება გაიმარტა 19 ოქტომბერს ტოკიოში ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა, დეგუსტაციაზე 13 სხვადასხვა ქართული ღვინო იყო წარმოდგენილი. 22 ოქტომბერს, აშშ-ს ქალაქ ნიუ-იორკში გამართულ ღონისძიებაზე, 10 ადგილობრივი იმპორტიორის მიერ წარმოდგენილი იყო 120 ქართული ღვინო, რომლებიც უკვე წარმატებით იყიდება აშშ-ის ბაზარზე. 22 ოქტომბერს, აშშ-ს ქალაქ ნიუ-იორკში გამართულ ღონისძიებაზე,

10 ადგილობრივი იმპორტიორის მიერ წარმოდგენილი იყო 120 ქართული ღვინო, რომლებიც უკვე წარმატებით იყიდება აშშ-ის ბაზარზე. ქართული ღვინის საექსპორო პოტენციალის გაზრდის მიზნით, ოქტომბერში, ანალოგიური დეგუსტაციები ვაშინგტონსა და სან-ფრანცისკოშიც გაიმართა. 29-30 ოქტომბერს, შვეიცარიის კონფედერაციის დედაქალაქ ბერნში, ფესტივალის „FERNWEH” ფარგლებში, „ქართული ღვინის ფორუმი“ გაიმართა, 5 ნოემბერს, პოლონეთის ქალაქ კრაკოვში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე „EnoExpo 2021” წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 20 კომპანიის ის ღვინოები, რომლებიც, დღეისათვის, პოლონეთის ბაზარზე არ იყიდება. გამოფენის ფარგლებში, მცირე მარნების მიერ წარმოებული ქვევრის ღვინოების დეგუსტაციაც გაიმართა, „ქართული ღვინის ფორუმის” ფარგლებში, 9 ნოემბერს პენსილვანიის უნივერსიტეტში კონფერენცია გაიმართა, რომელიც ქართული ღვინის კულტურასა და ისტორიას, მეღვინეობის სექტორში პანდემიით შექმნილ ახალი გამოწვევებს, აშშ-ის ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია-რეალიზაციის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმებს მიეძღვნა. ფორუმის ფარგლებში, ქალაქ ბოსტონში, დეგუსტაცია-სემინარი „Amber Wine Festival in Boston” ღვინის პროფესიონალებისთვის, ხოლო ქალაქ ფილადელფიაში, ქართული ღვინის დეგუსტაცია ადგილობრივი დისტრიბუტორების, იმპორტიორების, სარესტორნო ქსელებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა. 27 ნოემბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და საქართველოს ღვინის კლუბის ორგანიზებით, მთაწმინდის პარკში რიგით მე-12 „ახალი ღვინის ფესტივალი" ჩატარდა. ფესტივალში 150-მდე ღვინის მწარმოებელი, მათ შორის, 100-მდე მცირე საოჯახო მარანი მონაწილეობდა, 26 ნოემბერს, გერმანიის ქალაქ კიოლნში გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია. 29 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე საფრანგეთში ქართველი მეღვინეების სასწავლო ვიზიტი განხორციელდა. 8 დეკემბერს, ლონდონში ქართული ღვინის დეგუსტაცია გაიმართა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამ ქალაქში, შანხაისა (15 დეკემბერი), ჩენგდუში (17 დეკემბერი) და შენჭენში (20 დეკემბერი), ქართული ღვინის წარდგენა სახელწოდებით „Georgian Wine Roadshow“ გაიმართა.  ქართული ღვინო კრაკოვის საშობაო ფესტივალზე იყო წარმოდგენილი.

საანგარიშო პერიოდში ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე ბოლო წლების ექსპორტის ზრდის დინამიკა შენარჩუნებულია: პოლონეთი - 34% (7,003,031), ჩინეთი - 29% (5,934,937 ბოთლი), აშშ - 19% (1,084,278), გერმანია - 28% (892,348), ლატვია - 19% (1,900,519), ლიეტუვა - 45% (986,740), იაპონია - 12% (197,638) და დიდი ბრიტანეთი - 71% (736,391). საქართველოდან მსოფლიოს 62 ქვეყანაში 107 მილიონი ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში ისტორიულად მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს. ექსპორტით მიღებული შემოსავალია 250 მლნ აშშ დოლარს აღწევს. როგორც ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა, ისე ექსპორტით მიღებული შემოსავალი, 2020 წელთან შედარებით 16%-ით არის გაზრდილი. საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 441-მა კომპანიამ განახორციელა. 2021 წელს ექსპორტირებულია 1 მილიონი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 145% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავალი 2,6 მლნ აშშ დოლარს აღწევს; ზრდამ, 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 126% შეადგინა.

გასულ წელს, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 400 მლნ აშშ დოლარამდე შემოსავალი, რაც 18%-ით მეტია 2020 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

მთლიანად ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 400.0 მლნ აშშ დოლარი, რაც 18%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდზე. საანგარიშო პერიოდში მსოფლიოს 11 ქვეყანაში 77 დეგუსტაცია-პრეზენტაცია გაიმართა.

| ამოცანა 1.3: ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | |
|---|---|
| აქტივობა ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.3.1: ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მხრადაჭერა/ღონისძიებების გატარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 10 საერთაშორისო გამოფენის ჩატარება და 30 დეგუსტაციის (მათ შორის ონლაინ დეგუსტაცია) ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება/ მიღების უზრუნველყოფა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით. | **შესრულებული:**<br>2021 წელს, ქართული აგროსასურსათო პროდუქციის 2 საერთაშორისო გამოფენა ჩატარდა და 77 დეგუსტაციის (მათ შორის ონლაინ დეგუსტაცია) ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში და ქვეყნის შიგნით. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 8,500,000.00 ლარი დაზუსტებული ბიუჯეტი 7,864,000 ლარი) | **ფაქტობრივი:** 7,505,800.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

- **აქტივობა 1.3.2: ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაციის უზრუნველყოფა**

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი</u>: ვაზის აბორიგენული ჯიშის და ველური ვაზის შესწავლა ამპელოგრაფიის და მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წელს 20 ვაზის აბორიგენული ჯიშის და ველური ვაზის შესწავლა ამპელოგრაფიის და მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით ქვეყანაში არსებული პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე არ განხორციელებულა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

| ამოცანა 1.3: ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.3.2: ქართული ვაზის წარმოშობის პოპულარიზაციის უზრუნველყოფა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, განხორციელდება 20 ვაზის აბორიგენული ჯიშის და ველური ვაზის შესწავლა ამპელოგრაფიის და მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით. | **შესრულებული:**<br>2021 წელს 20 ვაზის აბორიგენული ჯიშის და ველური ვაზის შესწავლა ამპელოგრაფიის და მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით ქვეყანაში არსებული პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე არ განხორციელებულა. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** <u>50,000. ლარი (დაზუსტებული ბიუჯეტი 4 000 ლარი)</u> | **ფაქტობრივი:** <u>3,600 ლარი</u> |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | | | X | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს | განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელ ების პროცესი დასრულებუ ლია |
| | სტატუსი | X | | | | |

- **აქტივობა 1.3.3: ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარება**

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი:</u> ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

**განხორციელებული ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში კოლექტიური სასაქონლო ნიშნის ,,ალაზნის ველის" საზღვარგარეთ, კერძოდ ესტონეთში დაცვის მიზნით შესყიდულ იქნა იურიდიული მომსახურება, აღნიშნული მომსახურების ფარგლებში პატენტრწმუნებულმა წარადგინა სასაქონლო ნიშნის განაცხადის ხელახალი განხილვის შესახებ მოთხოვნა, რომელიც დაკმაყოფილდა ესტონეთის საპატენტო უწყების მიერ. ქვევრი პირველი არასასურსათო პროდუქტია, რომელიც ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრს დაემატა. დარეგისტრირდა 25-ე ადგილწარმოშობის დასახელება: მაღრაანის ქისი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

პროგრამის ფარგლებში კოლექტიური სასაქონლო ნიშნის ,,ალაზნის ველის" საზღვარგარეთ, კერძოდ ესტონეთში დაცვის მიზნით შესყიდულ იქნა იურიდიული მომსახურება, აღნიშნული მომსახურების ფარგლებში პატენტრწმუნებულმა წარადგინა სასაქონლო ნიშნის განაცხადის ხელახალი განხილვის შესახებ მოთხოვნა, რომელიც დაკმაყოფილდა ესტონეთის საპატენტო უწყების ქვევრი პირველი არასასურსათო პროდუქტია, რომელიც ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრს დაემატა. ქვევრი პირველი არასასურსათო პროდუქტია, რომელიც ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრს დაემატა. ქვევრის გეოგრაფიულ აღნიშვნად დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, ქვეყნისთვის, რომელსაც მეღვინეობის 8-ათასწლიანი უწყვეტი ისტორია აქვს. ქართული ტრადიციული მეთოდით ღვინის დაყენება ეროვნულ საღვინე ჭურჭელს - ქვევრს უკავშირდება. ქვევრის დამზადება ქართველი ხალხის ინტელექტის ნაყოფს წარმოადგენს. დარეგისტრირდა 25-ე ადგილწარმოშობის დასახელება: მაღრაანის ქისი.

| ამოცანა 1.3: ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.3.3: ადგილწარმოშობის დასახელებების და გეოგრაფიული აღნიშვნების სისტემის განვითარება |

| | |
|---|---|
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს,<br>– ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებები და ქართულ ღვინოსთან დაკავშირებული აღნიშვნების დაცვა სტრატეგიულ ბაზრებზე<br>– უზრუნველყოფილი იქნება ახალი ადგილწარმოშობის დასახელებების გამოვლენისა და რეგისტრაციის ღონისძიებები. | **შესრულებული:**<br>2021 წელს,<br>– სტრატეგიულ ბაზრებზე დაცულ იქნა 2 ქართული ღვინოსთან დაკავშირებული აღნიშვნა;<br>– რეგისტრირებულ იქნა 1 ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 50,000.00 ლარი (დაზუსტებული 23,000 ლარი) | **ფაქტობრივი:** 22,100.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 1.3.4: სურსათის წარმოების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამების/პროექტების ფარგლებში, დაფინანსებული/დასაფინანსებელი ბენეფიციარების მიერ წარმოებული/საწარმოებელი პროდუქციის ხარისხის, უვნებლობის, მიკვლევადობის და კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა, შესაბამისი აქტივობების თანადაფინანსების გზით. რაც გამოიხატება:

- სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების და სტანდარტების დანერგვაში;
- მარკეტინგულ აქტივობების ოპტიმიზაციის მიზნით, ბრენდინგსა და შეფუთვის დიზაინში დახმარებაში;

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის თანადაფინანსებაში.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წელს, პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები და მიღებულ იქნა შემდეგი შედეგები:

მიუხედავად ქვეყანაში COVID-19-ის ეპიდემიით გამოწვეული შეზღუდვებისა და სხვა დამაბრკოლებელი ფაქტორებისა, 2021 წლის განმავლობაში, პროგრამის ცნობადობის კიდევ უფრო ამაღლების და პროგრამის პირობების და პროცედურების შემდგომი დახვეწა/ოპტიმიზაციის მიზნით, განხორციელდა კომუნიკაციები/კონსულტაციები, როგორც პროგრამის მოქმედ, ასევე პოტენციურ ბენეფიციარებთან.

USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამისა და ტექნიკური დახმარების სამსახურის ორგანიზებით ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს" ბენეფიციარებისთვის, ჩატარდა სხვადასხვა თემატიკის ტრენინგები.

***2021 წლის განმავლობაში, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები:***

- სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემებისა და სტანდარტების დანერგვის შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა არაუმეტეს 50%-ით, არაუმეტეს 15,000 ლარისა, ხოლო, თუ ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს დონორი ორგანიზაციიდან მიღებული დაფინანსება – არაუმეტეს 30%-ით, მაგრამ არაუმეტეს 10,000 ლარისა;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისო სისტემებისა და სტანდარტების დანერგვის შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა არაუმეტეს 90%-ით, არაუმეტეს 25,000 ლარისა, ხოლო თუ ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს დონორი ორგანიზაციიდან მიღებული დაფინანსება – არაუმეტეს 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 15,000 ლარისა;
- ბრენდირების და შეფუთვის დიზაინის შექმნის შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა არაუმეტეს 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 15,000 ლარისა, ხოლო თუ ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს დონორი ორგანიზაციიდან მიღებული დაფინანსება – არაუმეტეს 30%-ით, მაგრამ არაუმეტეს 10,000 ლარისა;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ ბრენდირებისა და შეფუთვის დიზაინის შექმნის შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა არაუმეტეს 90%-ით, არაუმეტეს 25,000 ლარისა, ხოლო თუ ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს დონორი ორგანიზაციიდან მიღებული დაფინანსება – არაუმეტეს 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 15,000 ლარისა;

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ აღჭურვილობის შეძენის შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა არაუმეტეს 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 10,000 ლარისა;
- ტექნიკური დახმარების და მარკეტინგის პროექტს დაემატა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მართვის საკონსულტაციო მომსახურების შემთხვევაში სააგენტოს თანადაფინანსება არაუმეტეს 80%, მაგრამ არაუმეტეს 15,000 ლარისა.
- ტექნიკური დახმარების და მარკეტინგის პროექტს დაემატა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შემთხვევაში სააგენტოს თანადაფინანსება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ღირებულების არაუმეტეს 70%, მაგრამ არაუმეტეს 750 ლარისა.

*ამის გარდა, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:*

- სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტები - გაფორმდა 27 ხელშეკრულება;
- ბრენდირება - გაფორმდა 2 ხელშეკრულება;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის პროდუქციის საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის თანადაფინანსება - გაფორმდა 4 ხელშეკრულება;
- ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დანერგილი სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების რაოდენობა - დაინერგა 20 სტანდარტი;
- ტექნიკური დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პროდუქციის/კომპანიის ბრენდირების რაოდენობა - განხორციელდა 9 ბრენდირება;
- დამტკიცებული განაცხადების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა - 500,701.00 ლარი და 19,725.00 აშშ დოლარი;
- სააგენტოს მიერ გაცემული თანადაფინანსების ჯამურმა ოდენობამ შეადგინა - 272,722.20 ლარი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი იყო, რომ 15 ბენეფიციარი მოახდენს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების (ISO-22000, HACCP, GLOBAL G.A.P, BIO, BRC, FSSC-22000) დანერგვას. საანგარიშო პერიოდში 20-მა ბენეფიციარმა მოახდინა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების, სტანდარტების დანერგვა და სერტიფიცირება (ISO-22000, HACCP, GLOBAL G.A.P, BIO, BRC, FSSC-22000), ხოლო 9 ბენეფიციარმა მოახდინა პროდუქციის/კომპანიის სრული ბრენდირება.

| ამოცანა 1.3: ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობის 1.3.4: სურსათის წარმოების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |

| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2021 - 31.12.2021 |
|---|---|
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, 15 ბენეფიციარი მოახდენს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების (ISO-22000, HACCP, GLOBAL G.A.P, BIO, BRC, FSSC-22000) დანერგვას. | **შესრულებული:**<br>2021 წელს, 20-მა ბენეფიციარმა მოახდინა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემების, სტანდარტების დანერგვა და სერტიფიცირება (ISO-22000, HACCP, GLOBAL G.A.P, BIO, BRC, FSSC-22000). |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** <u>500,000.00 ლარი</u> | **ფაქტობრივი:** <u>273,357.80 ლარი</u> |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელე ბის პროცესი დასრულებუ ლია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა: 1.3.5. ვენახების კადასტრის აგება**

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო /სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი:</u> საქართველოს მევენახეობის უწყებრივი კადასტრის შექმნა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წელს დასრულდა ვენახების კადასტრის პროგრამის კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში, რაც მნიშვნელოვანია მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებისა და ხარისხიანი ღვინის წარმოების ხელშეწყობისთვის. ვენახების კადასტრის პროგრამის ფარგლებში, კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში ვენახების 26540 ჰა ფართობები აღიწერა. რთველი 2021-ის ფარგლებში, ყველა მევენახემ, ჯამში 23 ათასმა ფერმერმა, ყურძენი საწარმოებს ვენახების კადასტრის ამონაწერით ჩააბარა.

საკადასტრო ამონაწერი სულ გაცემულია 25 780 მევენახე ფერმერზე. ვენახების კადასტრი გააჩნია ევროკავშირის წევრ ყველა იმ ქვეყანას, სადაც მევენახეობა-მეღვინეობის ინდუსტრიაა განვითარებული. საქართველო, ვენახების კადასტრის შექმნით, კიდევ ერთ მნიშვნელოვან ევროპულ გამოცდილებას გაიზიარებს და დანერგავს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს დასრულდა ვენახების კადასტრის პროგრამის კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში. ვენახების კადასტრის პროგრამის ფარგლებში, კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში ვენახების 26540 ჰა ფართობები აღიწერა. საკადასტრო ამონაწერი სულ გაცემულია 25 780 მევენახე ფერმერზე.

| ამოცანა 1.3: ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.3.5: ვენახების კადასტრის აგება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, კახეთის რეგიონში ვენახების კადასტრის დასრულება, ხოლო რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში - საკადასტრო მონაცემების განახლება. | **შესრულებული:**<br>2021 წელს, დასრულდა ვენახების კადასტრის პროგრამის კახეთისა და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონებში. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 800,000.00 ლარი (დაზუსტებული 930,000 ლარი) | **ფაქტობრივი:** 879,300.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელე ბის პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელე ბის პროცესი დასრულებუ ლია |
| | სტატუსი | | | | | X |

## ამოცანა 1.5 ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

1.5 ამოცანის შესრულების მიზნით, 2021 წელს 11 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის: ფერმათა რეესტრის განვითარების უზრუნველყოფა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება, პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, სოფლად საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სოფლად სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა, სოფლად სპორტული და კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლად წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია. ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მის სტრუქტურაში შემავალი სააგენტოების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2021 წლის განმავლობაში:**

- ⇒ ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროგრამაში დარეგისტრირდა 20,399 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა;
- ⇒ განხორციელდა 33 სკოლის რეაბილიტაცია;
- ⇒ მოხდა 454 საჯარო სკოლის სხვადასხვა ინვენტარით აღჭურვა;
- ⇒ 7 დამატებით მუნიციპალიტეტში შეიქმნა პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა (ინფრასტრუქტურა);
- ⇒ 710.9 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო საგზაო მონაკვეთებზე დაიგო/რეაბილიტირებულ იქნა გზის საფარი;
- ⇒ აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 23 საბავშვო ბაღი;
- ⇒ აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 32 სპორტული და კულტურული ობიექტი;
- ⇒ აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 196.37 კმ წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები;
- ⇒ წელს აშენდა/რეაბილიტირებული იქნა 218 კმ წყალმომარაგების სისტემა და 51 დამხმარე ნაგებობა;
- ⇒ 2020-2021 წლებში, კვლევითი კომპანია ACT-ის მიერ განხორციელდა 2019 წლის შემდეგ აშენებული საზოგადოებრივი ცენტრების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა. საზოგადოებრივი ცენტრების მომსახურებით კმაყოფილების დონემ შეადგინა 97%.;
- ⇒ 2020-2021 წლებში, მომზადდა ნარჩენების განთავსების რეგიონული ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაცია. ასევე მომზადდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი. მათ შორის, სამშენებლო კომპანიის შერჩევის მიზნით გამოცხადდა პრე-საკვალიფიკაციო კონკურსი. Covid 19 პანდემიით გამოწვეული შეფერხებების გამო ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაწყება იგეგმება 2022 წლის ბოლოსთვის, შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდგომ. ამასთან, საანგარიშო პერიოდში დადგენილი პროცედურების შესაბამისად ხორციელდებოდა /ხორციელდება დახურული ნაგავსაყრელების შემდგომი მოვლა-პატრონობისთვის განსაზღვრული აუცილებელი ქმედებები;
- ⇒ 2021 წლის მდგომარეობით შესაბამის განახლებულ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა უკვე დამატებით 521 ათასზე მეტ (64%) საქართველოს მოქალაქეს გააჩნია. სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე გამოთვლებში არ არის გათვალისწინებული 5 თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) და აჭარის არ-ის მოსახლეობა;
- ⇒ 2020-2021 წლის მდგომარეობით შესაბამის განახლებულ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა უკვე დამატებით 75,000-მდე (60%) სკოლის მოსწავლეს გააჩნია. ინდიკატორის მიზნებიდან გამომდინარე გამოთვლებში არ არის გათვალისწინებული 5 თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) და აჭარის ა/რ-ის სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა.

**1.5 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი აქტივობების საპროგნოზო ბიუჯეტი 142,008,000 ლარით განისაზღვრა. 2021 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 271,211,908.62 ლარი.**

- **აქტივობა 1.5.1: ფერმათა რეესტრის განვითარების უზრუნველყოფა**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო

აქტივობის მიზანი: აღრიცხულ იქნეს საქართველოს მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული ყველა პირი (გარდა იმ პირებისა, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევიან მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირ(ებ)ის დაკვეთით ან/და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე), რაც შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს ფლობდეს, მათ შორის სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც გამოყენებული იქნება სამიზნე ჯგუფების სწორი შერჩევისათვის და მათთვის სხვადასხვა მასტიმულირებელი პროექტების/პროგრამების საჭიროებისამებრ დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წელს მიმდინარეობდა ახალი ფერმერების/ფერმერული მეურნეობების დარეგისტრირება და 2018-2020 წლებში დარეგისტრირებული ფერმერების/ფერმერული მეურნეობების მონაცემების გადამოწმება. 2021 წელს განხორციელდა ქმედებები, რომლებიც მიმართული იყო ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციისათვის საჭირო ელექტრონული სისტემის დახვეწისათვის (მათ შორის 2019 წელს დანერგილი, კომპანია „აბაკოს“ „პროცესების და კონტროლის მართვის“ ელექტრონული მოდულის), რათა ეს სისტემა უფრო დინამიური და ინტერაქტიური გამხდარიყო.

აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, 2021 წელს „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში დარეგისტრირდა 20,399 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა. სულ პროექტის დაწყებიდან პროექტის ფარგლებში დარეგისტრირებული ფერმერების/ ფერმერული მეურნეობების რაოდენობამ შეადგინა 155,053 ერთეული.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, დაგეგმილი იყო 20,000 ფერმერის/ფერმერული მეურნეობის დარეგისტრირება. საანგარიშო პერიოდში, 20,399 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა დარეგისტრირდა.

| 1.5 ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება: | პროგრამა 1.5.1: ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი: | 01.01.2021 - 31.12.2021 |

| შესრულების ინდიკატორები | |
|---|---|
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს 20,000 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა დარეგისტრირდება. | **შესრულებული:**<br>2021 წელს, 20,399 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა დარეგისტრირდა. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 300,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 283,480.09 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელებ ის პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელე ბის პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 1.5.2: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება**
  <u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი:</u> განხორციელდება 8 სკოლის რეაბილიტაცია და განხორციელდება 660 საჯარო სკოლის სხვადასხვა ინვენტარით აღჭურვა

**განხორციელებული ღონისძიებები**

ინდიკატორის მიღწევის ფარგლებში, განხორციელდა 3 სკოლის სრული რეაბილიტაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულიშკარში, ვანის მუნიციპალიტეტი სოფელ შუაგორაში და სოფელ ინაშაურში.

განხორცილდა 5 სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია: ზუგდიდი მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშში, აბასთუმანში, ნარაზენში და ლიხაურში, ასევე სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანაში.

ოპერირების პროექტის ფარგლებში, განხორციელდა 25 სკოლის ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები: ახმეტის მუნიციპალიტეტში - 1, ბოლნისის მუნიციპალიტეტში - 1, გარდაბანში - 1, გურჯაანში - 2, დედოფლისწყაროში - 1, ვანში - 1, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში -1, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში - 2, თელავის მუნიციპალიტეტში - 3, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში-3, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში - 1, მარნეულის მუნიციპალიტეტში - 1, მარტვილის მუნიციპალიტეტში - 1, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში-1, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში -2, სიღნაღის მუნიციპალიტეტში - 1, ქობულეთის მუნიციპალიტეტში - 1, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში -1.

საანგარიშო პერიოდში, 454 საჯარო სკოლა აღიჭურვა შემდეგი ინვენტარით:

- სასკოლო დაფებით აღიჭურვა 115 საჯარო სკოლა;
- მერხებით - 49 საჯარო სკოლა;
- საოფისე ავეჯით - 64 საჯარო სკოლა;
- ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში, 5750 ცალი ლეპტოპი გადაეცა 416 სკოლას;
- სამედიცინო აღჭურვილობა მიიღო 177 საჯარო სკოლამ;
- 379 ცალი პროექტორი გადაეცა 164 საჯარო სკოლას.

პროგრამა "ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში, სოფლების 278 საჯარო სკოლა, აღიჭურვა 636 ცალი პროექტორით.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

დაგეგმილი იყო 8 სკოლის რეაბილიტაცია. 2021 წლის განმავლობაში განხორციელდა 3 სკოლის სრული რეაბილიტაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ყულიშკარში, ვანის მუნიციპალიტეტი სოფელ შუაგორაში და სოფელ ინაშაურში.

განხორცილდა 5 სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია: ზუგდიდი მუნიციპალიტეტის სოფელ ცაიშში, აბასთუმანში, ნარაზენში და ლიხაურში, ასევე სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანაში. ასევე, ნაწილობრივი სარემონტო სამუშაოები ჩატარდა 25 სკოლაში.

საანგარიშო პერიოდში, 454 საჯარო სკოლა აღიჭურვა სხვადასხვა ინვენტარით.
სასკოლო დაფებით აღიჭურვა 115 საჯარო სკოლა; მერხებით - 49 საჯარო სკოლა; საოფისე ავეჯით - 64 საჯარო სკოლა; ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში, 5750 ცალი ლეპტოპი გადაეცა 416 სკოლას; სამედიცინო აღჭურვილობა მიიღო 177 საჯარო სკოლამ; 379 ცალი პროექტორი გადაეცა 164 საჯარო სკოლას. პროგრამა "ახალი სკოლის მოდელის" ფარგლებში, სოფლების 278 საჯარო სკოლა, აღიჭურვა 636 ცალი პროექტორით.

| 1.5 ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | 1.5.2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |

| შესრულების ინდიკატორები | |
|---|---|
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს,<br>• განხორციელდება 8 სკოლის რეაბილიტაცია.<br>• განხორციელდება 660 საჯარო სკოლის სხვადასხვა ინვენტარით აღჭურვა | **შესრულებული:**<br>2021 წელს,<br>• განხორციელდა 33 სკოლის სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია.<br>• განხორციელდა 454 საჯარო სკოლის სხვადასხვა ინვენტარით აღჭურვა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: 4,928,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 13,178,287.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | | | | X |

- **აქტივობა 1.5.3: პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი

აქტივობის მიზანი: სულ მცირე სამ დამატებით მუნიციპალიტეტში შეიქმნება პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა (ინფრასტრუქტურა).

**განხორციელებული ღონისძიებები**

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისა და პროფესიული განათლების გეოგრაფიული ქსელის გაფართოების მიზნით, 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტები/მსმენელები პირველად მიიღო ახლად განვითარებულმა შვიდმა კოლეჯმა/ფილიალმა: კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში (ინდიკატორი შესრულებულია 100%-ით).

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

დაგეგმილი იყო სულ მცირე სამ დამატებით მუნიციპალიტეტში პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობის შექმნა, თუმცა წლის განმავლობაში საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტები/მსმენელები პირველად მიიღო ახლად განვითარებულმა შვიდმა კოლეჯმა/ფილიალმა.

სამოქმედო გეგმით, 2021 წელს დაგეგმილი იყო - 16,780,000.00 ლარის ოდენობით საპროგნოზო ბიუჯეტი. აღნიშნული მიმართულებით 2021 წელს დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 17,950,141.53 ლარი.

<table>
<tr><th colspan="2">1.5 ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა</th></tr>
<tr><td>აქტივობის ნომერი და სახელწოდება:</td><td>აქტივობა 1.5.3: პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება</td></tr>
<tr><td>პასუხისმგებელი უწყება:</td><td>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო/პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტი</td></tr>
<tr><td>საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი</td><td>01.01.2021 – 31.12.2021</td></tr>
<tr><td colspan="2">შესრულების ინდიკატორები</td></tr>
<tr><td>დაგეგმილი:<br>2021 წელს, სულ მცირე სამ დამატებით მუნიციპალიტეტში შეიქმნება პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა (ინფრასტრუქტურა).</td><td>შესრულებული:<br>2021 წელს, წლის განმავლობაში საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტები/მსმენელები პირველად მიიღო ახლად განვითარებულმა შვიდმა კოლეჯმა/ფილიალმა.</td></tr>
<tr><td colspan="2">ბიუჯეტი</td></tr>
<tr><td>საპროგნოზო: <u>16,780,000.00 ლარი</u></td><td>ფაქტობრივი: <u>17,950,141.53 ლარი</u></td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="4">შესრულების შეფასება</td><td></td><td>სრულად შესრულდა</td><td>უმეტესწილად შესრულდა</td><td>ნაწილობრივ შესრულდა</td><td>არ შესრულდა</td><td></td></tr>
<tr><td>რეიტინგი</td><td>X</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td>განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა</td><td>განხორციელების პროცესი მიმდინარეობს</td><td>განხორციელების პროცესი შეჩერებულია</td><td>განხორციელების პროცესი შეწყვეტილია</td><td>განხორციელების პროცესი დასრულებულია</td></tr>
<tr><td>სტატუსი</td><td></td><td></td><td></td><td></td><td>X</td></tr>
</table>

- **აქტივობა 1.5.4:** სოფლად საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

<u>აქტივობის მიზანი:</u> ადგილობრივ და სასოფლო დონეზე მოძველებული საგზაო ინფრასტრუქტურის შეკეთება-რეაბილიტაცია ან/და ახალი საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა

**განხორციელებული ღონისძიებები**

თანხების გამოყოფა ხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, რომელიც ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში (5608) და ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების შესახებ 2021-2024 წლების

სამთავრობო დოკუმენტში (500 მლნ. ლარი). საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, დადგენილი წესით კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესებს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული სამუშაოები ხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში და შესაბამისად, ინფრასტრუქტურული პროექტების ტიპის შერჩევაზე პასუხისმგებელი არიან უშუალოდ მუნიციპალიტეტები. 2021 წელს მუნიციპალიტეტების მიერ, წინა წლებთან შედარებით წარმოდგენილი იყო უფრო მეტი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პროექტი, რამაც, გამოიწვია დაგეგმილი ბიუჯეტისა და ინდიკატორების ორმაგი და მეტი გადაჭარბებით შესრულება.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 250 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო საგზაო მონაკვეთებზე გზის საფარის დაგება ან რეაბილიტირება. საანგარიშო პერიოდში, დაიგო ან რეაბილიტირებულ იქნა 711 კმ გზის საფარი.

| ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.4 სოფლად საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, 250 კმ-მდე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო საგზაო მონაკვეთებზე დაიგება ან რეაბილიტირებული იქნება გზის საფარი | **შესრულებული:**<br>2021 წელს, 711 კმ ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო საგზაო მონაკვეთებზე დაიგო ან რეაბილიტირებულ იქნა გზის საფარი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 75,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 182,100,000.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 1.5.5: სოფლად სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

აქტივობის მიზანი: ადგილობრივ და სასოფლო დონეზე სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მიზნით საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია და სწავლისათვის შესაბამისი სტანდარტის პირობების შექმნა, როგორც ბავშვებისთვის, ასევე პედაგოგებისთვის.

**განხორციელებული ღონისძიებები**

თანხების გამოყოფა ხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, რომელიც ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში (5608) და "ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების შესახებ 2021-2024 წლების სამთავრობო დოკუმენტში (500 მლნ. ლარი). საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, დადგენილი წესით კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესებს.**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 8 საბავშვო ბაღის აშენება/რეაბილიტირება. საანგარიშო პერიოდში, აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 23 საბავშვო ბაღი.

| ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.5. სოფლად სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს აშენდება/რეაბილიტირებული იქნება 8 საბავშვო ბაღი | **შესრულებული:**<br>2021 წელს აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 23 საბავშვო ბაღი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 2,500,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 6,100,000.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | დასრულებულ ია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 1.5.6: სოფლად სპორტული და კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია**

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

<u>აქტივობის მიზანი:</u> სპორტული და კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია ადგილობრივ და სოფლის დონეზე, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას

**განხორციელებული ღონისძიებები**

თანხების გამოყოფა ხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, რომელიც ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში (5608) და "ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების შესახებ 2021-2024 წლების სამთავრობო დოკუმენტში (500 მლნ ლარი). საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, დადგენილი წესით კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესებს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2020 წელს, აქტივობის ფარგლებში დაგეგმილი იყო 8 სპორტული და კულტურის ობიექტის აშენება/რეაბილიტირება. საანგარიშო პერიოდში აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 32 სპორტული და კულტურის ობიექტი.

| ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.6. სოფლად სპორტული და კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br><br>ყოველწლიურად აშენდება/რეაბილიტირებული იქნება 8 სპორტული და კულტურის ობიექტი | **შესრულებული:**<br><br>2021 წელს აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 32 სპორტული და კულტურის ობიექტი |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** <u>2,500,000.00 ლარი</u> | **ფაქტობრივი:** <u>4,500,000.00 ლარი</u> |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 1.5.7: სოფლად წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია**

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო / საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია

<u>აქტივობის მიზანი:</u> ადგილობრივი მოსახლეობის შესაბამისი ხარისხის სასმელი წყლით უზრუნველყოფა, წყალმომარაგების ქსელებისა და სათავე ნაგებობების (წყლის რეზერვუარები, ჭაბურღილები) მშენებლობა რეაბილიტაციის მეშვეობით, მათ შორის წყალარინების სისტემების (საკანალიზაციო სისტემა) მოწესრიგება და გარემოზე მავნე ზემოქმედების შესამცირებლად საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

თანხების ძირითადი ნაწილის გამოყოფა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან (2504), ხოლო პროექტების განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს "შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია". ასევე, პროექტების ნაწილი ხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, რომელიც ასახულია სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში (5608) და "ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების შესახებ 2021-2024 წლების სამთავრობო დოკუმენტში (500 მლნ. ლარი). საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, დადგენილი წესით ზედამხედველობას უწევს "შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა", აგრეთვე, ახორციელებს კოორდინაციას მუნიციპალიტეტების მიერ დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესებს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო 100 კმ წყალმომარაგების სისტემის და 4 შესაბამისი დამხმარე ნაგებობის (ჭაბურღილი, რეზერვუარი, გამწმენდი ნაგებობა) აშენება/რეაბილიტირება. საანგარიშო პერიოდში აშენდა/რეაბილიტირებულ იქნა 218 კმ წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემა და 51 დამხმარე ნაგებობა.

| ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა |
|---|

| | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.7. სოფლად წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო / საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს აშენდება/რეაბილიტირებული იქნება 100 კმ-მდე წყალმომარაგების სისტემა და 4-მდე სათავე და გამწმენდი ნაგებობა | **შესრულებული:**<br>2021 წელს აშენდა/რეაბილიტირებული იქნა 218 კმ წყალმომარაგების სისტემა და 51 დამხმარე ნაგებობა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 40,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 47,100,000.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 1.5.8 საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა - საზოგადოებრივი ცენტრების მომსახურების უზრუნველყოფა**

| ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და ს სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.8 საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა - საზოგადოებრივი ცენტრების მომსახურების უზრუნველყოფა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.2.) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს იუსტიციის სამინისტრო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, სოფლად გამოკითხული მოსახლეობის სულ მცირე 80 % კმაყოფილია 2019 წლის შემდეგ აშენებული საზოგადოებრივი ცენტრების მომსახურებით | **შესრულებული:**<br>2020-2021 წლებში, კვლევითი კომპანია ACT-ის მიერ განხორციელდა 2019 წლის შემდეგ აშენებული საზოგადოებრივი ცენტრების მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა. |

| | |
|---|---|
| | საზოგადოებრივი ცენტრების მომსახურებით კმაყოფილების დონემ შეადგინა 97%. |

**აქტივობა 1.5.9: საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა - ნარჩენების მართვის უზრუნველყოფა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.4.)**

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო / საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია

<u>აქტივობის მიზანი:</u> ევროსტანდარტების შესაბამისი ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა და არსებული ნაგავსაყრელების დახურვა და მოვლა პატრონობა

**განხორციელებული ღონისძიებები**

სამეგრელო - ზემო სვანეთის ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) მშენებლობასთან დაკავშირებით, 2020 წელს დაიწყო და შემუშავდა საპროექტო/სატენდერო დოკუმენტაცია. 2021 წელს მომზადდა ნარჩენების განთავსების რეგიონული ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაცია. ასევე მომზადდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი. მათ შორის, სამშენებლო კომპანიის შერჩევის მიზნით გამოცხადდა პრე-საკვალიფიკაციო კონკურსი. Covid 19 პანდემიით გამოწვეული შეფერხებების გამო ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაწყება იგეგმება 2022 წლის ბოლოსთვის, შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდგომ.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში დადგენილი პროცედურების შესაბამისად ხორციელდებოდა/ხორციელდება დახურული ნაგავსაყრელების შემდგომი მოვლა-პატრონობისთვის განსაზღვრული აუცილებელი ქმედებები.

| ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.9 საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა - ნარჩენების მართვის უზრუნველყოფა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.4.) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო / შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს, მოსახლეობის რაოდენობა, რომელთაც ემსახურება EU სტანდარტების შესაბამის ნაგავსაყრელებთან დაკავშირებული ნარჩენების შეგროვების სერვისი, გაიზრდება 210,000-ით. | **შესრულებული:**<br>2020-2021 წლებში, მომზადდა ნარჩენების განთავსების რეგიონული ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაცია. ასევე მომზადდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი. მათ შორის, სამშენებლო კომპანიის შერჩევის მიზნით გამოცხადდა პრე-საკვალიფიკაციო კონკურსი. Covid 19 |

| | |
|---|---|
| | პანდემიით გამოწვეული შეფერხებების გამო ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაწყება იგეგმება 2022 წლის ბოლოსთვის, შესაბამისი პროცედურების დასრულების შემდგომ.<br>ამასთან, საანგარიშო პერიოდში დადგენილი პროცედურების შესაბამისად ხორციელდებოდა /ხორციელდება დახურული ნაგავსაყრელების შემდგომი მოვლა-პატრონობისთვის განსაზღვრული აუცილებელი ქმედებები. |

- **აქტივობა 1.5.10: სოფლად ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD IV) - ინდიკატორი 2.5)**

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო / საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია / საქართველოს მუნიციპალიტეტები

<u>აქტივობის მიზანი:</u> ENPARD IV - ინდიკატორი 2.5 ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის ახალ და განახლებულ ინფრასტრუქტურაზე (გზები, საბავშვო ბაღები, სპორტისა და კულტურის ობიექტები, წყალმომარაგება და წყალარინების სიტემები) ხელმისაწვდომობის ზრდას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ENPARD IV - ინდიკატორი 2.5-ის შესაბამისად 2019 წლის საბაზისო (815,000 მოქალაქე) მონაცემებთან შედარებით 2022 წლის ბოლოსთვის დამატებით 280,000 მოქალაქისთვის (35.6%) უნდა გაიზარდოს ხელმისაწვდომობა ახალ და განახლებულ ინფრასტრუქტურაზე.

2021 წლის მდგომარეობით შესაბამის განახლებულ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა უკვე დამატებით 521 ათასზე მეტ (64%) საქართველოს მოქალაქეს გააჩნია. სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე გამოთვლებში არ არის გათვალისწინებული 5 თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) და აჭარის ა/რ-ის მოსახლეობა.

| ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.10 სოფლად ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.5.) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 - 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2022 წელს, სოფლად, ახალ ან განახლებულ საჯარო ინფრასტრუქტურაზე წვდომის | **შესრულებული:**<br>2021 წლის მდგომარეობით შესაბამის განახლებულ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა უკვე |

| | |
|---|---|
| მქონე მოსახლეობის რაოდენობა გაიზრდება სულ მცირე 35.6%-ით, 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით | დამატებით 521 ათასზე მეტ (64%) საქართველოს მოქალაქეს გააჩნია. სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე გამოთვლებში არ არის გათვალისწინებული 5 თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) და აჭარის არ-ის მოსახლეობა. |

- **აქტივობა 1.5.11: საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა - საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის (ENPARD IV) - ინდიკატორი 2.7)**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო / საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი / საქართველოს მუნიციპალიტეტები.

აქტივობის მიზანი: ENPARD IV - ინდიკატორი 2.7 ითვალისწინებს სასოფლო დასახლებებისა და ქალაქების დონეზე საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის ახალ და განახლებულ სასკოლო ინფრასტრუქტურაზე (სკოლების რეაბილიტაცია/მშენებლობა) ხელმისაწვდომობის ზრდას.

**განხორციელებული ღონისძიებები**

ENPARD IV - ინდიკატორი 2.7-ის შესაბამისად 2019 წლის საბაზისო (124,000 მოსწავლე) მონაცემებთან შედარებით 2023 წლის ბოლოსთვის დამატებით 80,600 სკოლის მოსწავლისთვის (65%) უნდა გაიზარდოს ხელმისაწვდომობა ახალ და განახლებულ სასკოლო ინფრასტრუქტურაზე.

2021 წლის მდგომარეობით შესაბამის განახლებულ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა უკვე დამატებით 75,000-მდე (60%) სკოლის მოსწავლეს გააჩნია. სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე გამოთვლებში არ არის გათვალისწინებული 5 თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) და აჭარის ა/რ-ის სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა.

| ამოცანა 1.5: ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.5.11 საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა - საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.7.) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო / საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი / საქართველოს მუნიციპალიტეტები |

| | |
|---|---|
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 - 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, სოფლად, ახალ ან განახლებულ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის მქონე მოსწავლეების რაოდენობა გაიზრდება სულ მცირე 65%-ით, 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით | **შესრულებული:**<br>2020-2021 წლის მდგომარეობით შესაბამის განახლებულ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა უკვე დამატებით 75,000-მდე (60%) სკოლის მოსწავლეს გააჩნია. ინდიკატორის მიზნებიდან გამომდინარე გამოთვლებში არ არის გათვალისწინებული 5 თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი) და აჭარის ა/რ-ის სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა. |

## ამოცანა 1.6 ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება

1.6 ამოცანის შესრულების მიზნით, 2021 წელს 4 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია, ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების (მაგისტრალური არხების) რეაბილიტაცია და წყლის რესურსების მომხმარებელთა ციფრული მონაცემთა ბაზის შექმნა. ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სტრუქტურაში შემავალი სააგენტოების მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2021 წლის განმავლობაში:**

⇒ რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი გაიზარდა 4.63 ათას ჰა-ით;
⇒ სარწყავ მიწებზე წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდა 2.53 ათას ჰა-ზე;
⇒ განხორციელდა 0.24 ათას ჰა მიწის ფართობის დაშრობა;
⇒ განხორციელდა ჭარბი წყლის მოცილება - 4.78 ათას ჰა-ზე;
⇒ შესრულდა ორი სარწყავი სისტემის შიდა ქსელების დეტალური საინჟინრო პროექტირების მიხედვით სარეაბილიტაციო სამუშაოების 40%;
⇒ შესრულდა ქვემო სამგორის სიონის წყალსაცავისა და ტბისი-კუმისის ალგეთის წყალსაცავის კაშხლების სარეაბილიტაციო სამუშაოების 50%;
⇒ ჩამოყალიბებულია 13 ფერმერთა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც არის წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის წინამორბედი არაფორმალური სტრუქტურა;
⇒ წყლის რესურსების მომხმარებელთა ციფრული მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირდა დაახლოებით 46,890 მომხმარებელი.
⇒ 2020-2021 წლებში, სახელმწიფო დაფინანსებით მელიორირებული ფართობი გაიზარდა:2020 წელს - 4,6 %, 2021 წელს - 2,75%. სულ 7.35%-ით.

**1.6 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი აქტივობების საპროგნოზო ბიუჯეტი 68,000,000 ლარით განისაზღვრა. 2021 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 49,558,225.00 ლარი.**

- **აქტივობა 1.6.1: სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია**

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ შპს „საქართველოს მელიორაცია“

<u>აქტივობის მიზანი:</u> საირიგაციო და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წელს, კაპიტალური ღონისძიებების ფარგლებში მიმდინარეობდა: სათავე ნაგებობების, მაგისტრალური არხების, პირველი და სხვა რიგის გამანაწილებლების, დიუკერებისა და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბილიტაცია; არხების მოპირკეთების აღდგენა; დამატებითი გამანაწილებელი არხებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობა მიწის ნაკვეთის ბლოკებამდე წყლის მიყვანის მიზნით; წყალმზომი მოწყობილობების დაყენება; ახალი სატუმბი სადგურების მოწყობა და არსებული სატუმბი სადგურების რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია, ელ. მექანიკური მოწყობილობების აღდგენა და ახლით შეცვლა; სატუმბი სადგურების სიმძლავრის გაზრდის მიზნით დამატებითი ელ. ენერგიის შეძენა; სამეგრელოს და გურიის რეგიონებში, აგრეთვე ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ძირითადი წყალშემკრები საკოლექტორო არხებისა და შიდასამეურნეო დამშრობი ქსელის რეაბილიტაცია.

საირიგაციო სისტემებზე 2021 წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები 65 ობიექტზე, აქედან დასრულდა 37, შეწყდა 2 პროექტი. პერიოდის ბოლოს (01.01.2022) გარდამავალი პროექტების ჩათვლით მიმდინარეობდა 26 პროექტი.

2021 წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა დამშრობი (დრენაჟი) სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები 11 ობიექტზე. აქედან დასრულდა 10 პროექტი, პერიოდის ბოლოს (01.01.2022) გარდამავალი პროექტების ჩათვლით მიმდინარეობდა 1 პროექტი.

2021 წლის 11 თებერვლის N218 განკარგულებაში განხორციელდა სამი ცვლილება (2021 წლის 9 ივნისის N951; 6 ოქტომბრის N1789 და 29 ოქტომბრის N1925) და ქვეპროგრამის, „სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შეძენა“ (პროგრამული კოდი 31 06 01), ბიუჯეტი ნაცვლად 48,000,000 ლარისა განისაზღვრა 26,550,000 ლარით და შესაბამისად მშენებლობა-რეაბილიტაციის ბიუჯეტი 41,290,000 ლარის ნაცვლად გახდა 19,021,200 ლარი, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რიგი ობიექტების დასრულების თარიღი დაკორექტირდა, გახდა მშენებლობით გარდამავალი და დასრულდება 2022 წელს, შესაბამისად შეუსრულებელი ინდიკატორები 2022 წელს შესრულდება.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წლის განმავლობაში, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობის 11.24 ათას ჰექტრამდე ზრდა; 16.05 ათას ჰა სარწყავ მიწებზე

წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; ასევე, 0.23 ათას ჰა-ზე მიწის ფართობის დაშრობა; ჭარბი წყლის მოცილება 4.78 ათას ჰა-ზე.

საანგარიშო პერიოდში, რეაბილიტირებულ იქნა სამელიორაციო ინფრასტრუქტურა; პირობითი სარწყავი მიწების კატეგორიიდან რეგულარულ სარწყავი მიწების კატეგორიაში გადასულია დაახლოებით 4.63 ჰა-მდე მიწის ფართობი; სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება განხორციელდა 2.53 ჰა-ზე; მიწის ფართობების დაშრობა მოხდა დაახლოებით 0.24 ჰა-ზე, ხოლო ჭარბი წყლის მოცილება - 4.78 ჰა-ზე.

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებისთვის, დაგეგმილი იყო 48,000,000 ლარის ათვისება, 2021 წლის 29 ოქტომბრის N1925 განკარგულებით საბოლოო ცვლილება განხორციელდა 2021 წლის 11 თებერვლის N218 განკარგულებაში და ბიუჯეტი ნაცვლად 48,000,000 ლარისა განისაზღვრა 26,550,000 ლარით, ხოლო ბიუჯეტის ფაქტიურმა ათვისებამ შეადგინა 20,005,129 ლარი.

| ამოცანა 1.6: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.6.1: სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/შპს „საქართველოს მელიორაცია“ |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს:<br>• რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი გაიზრდება 11.24 ათასი ჰექტრით;<br>• სარწყავ მიწებზე წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდება 16.05 ათას ჰა-ზე;<br>• განხორციელდება 0.23 ათასი ჰა მიწის ფართობის დაშრობა;<br>• ჭარბი წყლის მოცილება 4.78 ათას ჰა-ზე. | **შესრულებული:**<br>2021 წელს:<br>• რეგულარულ სარწყავში გადასაყვანი მიწის ფართობი გაიზარდა 4.64 ათას ჰა-ით;<br>• სარწყავ მიწებზე წყლით უზრუნველყოფა გაუმჯობესდა 2.53 ათას ჰა-ზე;<br>• განხორციელდა 0.24 ათას ჰა მიწის ფართობის დაშრობა;<br>• ჭარბი წყლის მოცილება - 4.78 ათას ჰა-ზე |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 48,000,000. ლარი | **ფაქტობრივი:** 20,005,129 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

აქტივობა 1.6.2: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების (მაგისტრალური არხების) რეაბილიტაცია

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტი / შპს "საქართველოს მელიორაცია"

<u>პარტნიორი ორგანიზაცია</u>: მსოფლიო ბანკი (WB)

<u>აქტივობის მიზანი:</u> ირიგაციისა და სადრენაჟო სერვისების მიწოდების გაუმჯობესება.

**განხორციელებული ღონისძიებები:**

**საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია (ზედა რუს, ტბისი-კუმისის და ქვემო სამგორის არხის რეაბილიტაცია)**

<u>სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ციკლის სისტემების პროექტირების და ზედამხედველობის მიზნით:</u>

- ✓ კომპანია ინშაათმა **ქვემო სამგორის G1-G32** გამანაწილებლებზე დაიწყო სარეაბილიტაციო სამუშაოები. დღესდღეობით კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების 40% შესრულებულია. კერძოდ დასრულებულია 84520 მეტრი მილსადენის რეაბილიტაცია.
- ✓ გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში მომზადდა **ქვემო სამგორის G33 გამანაწილებელზე** სატენდერო დოკუმენტაცია და გამოცხადდა ტენდერი, რომელზეც შეირჩა და დაკონტრაქტდა კომპანია ინშაათი. კომპანიის დაასრულა სამობილიზაციო სამუშაოების და კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების 7% შესრულებულია. კერძოდ 5327 მ მილსადენები რეაბილიტირებულია.
- ✓ **ზედა რუს სქემაზე** შერჩეული კომპანია „გზა“ აწარმოებს სამუშაოებს. დღესდღეობით კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების 50% შესრულებულია. კერძოდ, 27079 მ მილსადენი რეაბილიტირებულია.
- ✓ რაც შეეხება **ტბისი-კუმისის სქემას,** ამ ეტაპზე შეზღუდული საბიუჯეტო რესურსების გამო, შეჩერებულია მოცემული სქემის რეაბილიტაციის გეგმა და მიმდინარეობს მუშაობა ფინანსების მოძიებაზე.

<u>სარეაბილიტაციო სამუშაოები ალგეთის და სიონის კაშხლების უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით</u>

- ✓ ალგეთის და სიონის კაშხლების უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებულია. სარეაბილიტაციო საქმიანობის დასრულების შემდეგ ჩატარდა ტრეინინგები მელიორაციის პერსონალისთვის,

უსაფრთხოების სიტემის მოვლა- შენახვაზე. ამ ეტაპზე ჩაირთო დეფექტების ლიკვიდაციის პერიოდი - ერთი წელი, რომლის დასრულების შემდეგაც პროექტი დაიხურება.

**შპს „საქართველოს მელიორაციის" ინსტიტუციონალური და საექსპლუატაციო სტრუქტურის გაძლიერება** (წყალმომხმარებელთა ორგანიზაციებზე კანონპროექტის შემუშავებაში მხარდაჭერა, სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბება წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების მუშაობის უზრუნველსაყოფად, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა და ა.შ).

- ✓ წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების კანონპროექტი მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის დეკემბერში. ამ ეტაპისთვის, მომზადა წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების ჩამოყალიბების სამუშაო გეგმა, გაწერილი დეტალური განხორციელების განრიგითა და პასუხისმგებელი პირების მითითებით.
- ✓ შეიქმნა წმო-ების ჩამოყალიბების ხელშეწყობის დამხმარე სტრუქტურა რეგიონებში, რისთვისაც აყვანილ და დატრენინგებული იქნა 6 ადამიანი.
- ✓ ჩამოყალიბდა 13 ფერმერთა საინიციატივო ჯგუფი, 8 ზედა რუზე, 5 ქვემო სამგორში.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

დაგეგმილი იყო 2 წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის ჩამოყალიბება საპილოტე რეგიონებში - ***იგეგმება მოცემული ინდიკატორის შეცვლა მიმდინარეობს ინდიკატორის შეცვლაზე მუშაობა.*** ამ ეტაპზე წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების (წმო) ნაცვლად ჩამოყალიბებულია 13 ფერმერთა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც არის წმო-ს წინამორბედი არაფორმალური სტრუქტურა.

2 წყალსაცავის კაშხლების რეაბილიტირების სამუშაოების დაწყება და მონიტორინგის და უსაფრთხოების სისტემების დანერგვა განხორციელდა.

ორი სარწყავი სისტემის შიდა ქსელების დეტალური საინჟინრო პროექტირების მიხედვით სარეაბილიტაციო სამუშაოების 50% შესრულება.

| ამოცანა 1.6: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.6.2: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების (მაგისტრალური არხების) რეაბილიტაცია |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტი / შპს "საქართველოს მელიორაცია" |
| პარტნიორი ორგანიზაცია: | მსოფლიო ბანკი (WB) |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| შესრულების ინდიკატორები | |

| დაგეგმილი: | შესრულებული: |
|---|---|
| 2021 წელს,<br>• შესრულდება ორი სარწყავი სისტემის შიდა ქსელების დეტალური საინჟინრო პროექტირების მიხედვით სარეაბილიტაციო სამუშაოების 50%.<br>• შესრულდება ქვემო სამგორის სიონის წყალსაცავისა და ტბისი-კუმისის ალგეთის წყალსაცავის კაშხლების სარეაბილიტაციო სამუშაოების 50%.<br>• ჩამოყალიბდება 2 წყალმომხმარებელთა ორგანიზაცია საპილოტე რეგიონებში. | 2021 წელს,<br>• შესრულდა ორი სარწყავი სისტემის შიდა ქსელების დეტალური საინჟინრო პროექტირების მიხედვით სარეაბილიტაციო სამუშაოების 40%.<br>• შესრულდა ქვემო სამგორის სიონის წყალსაცავისა და ტბისი-კუმისის ალგეთის წყალსაცავის კაშხლების სარეაბილიტაციო სამუშაოების 50%.<br>• მიმდინარეობს ინდიკატორის შეცვლაზე მუშაობა. ამ ეტაპზე წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების (წმო) ნაცვლად ჩამოყალიბებულია 13 ფერმერთა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც არის წმო-ს წინამორბედი არაფორმალური სტრუქტურა. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: 20,000,000 ლარი | **ფაქტობრივი:** 29,553,096 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებ ის პროცესი დასრულებულ ია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 1.6.3: წყლის რესურსების მომხმარებელთა ციფრული მონაცემთა ბაზის შექმნა**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ შპს „საქართველოს მელიორაცია“

აქტივობის მიზანი: საირიგაციო და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია

**განხორციელებული ღონისძიებები:**
2021 წელს, დარეგისტრირებულია 46,890 მომხმარებელი.

| ამოცანა 1.6: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.6.3: წყლის რესურსების მომხმარებელთა ციფრული მონაცემთა ბაზის შექმნა |

| | |
|---|---|
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/შპს „საქართველოს მელიორაცია“ |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, დარეგისტრირდება დაახლოებით 37,000 მომხმარებელი. | **შესრულებული:**<br>2021 წელს, დარეგისტრირებულია 46,890 მომხმარებელი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 0 | **ფაქტობრივი:** 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელე ბის პროცესი დასრულებუ ლია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 1.6.4: მიწის სამელიორაციო ღონისძიებების განხორციელება (ENPARD IV, ინდიკატორი 2.6.)**

| ამოცანა 1.6: ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.6.4: მიწის სამელიორაციო ღონისძიებების განხორციელება (ENPARD IV, ინდიკატორი 2.6.) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/შპს „საქართველოს მელიორაცია“ |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2023 წელს, სახელმწიფო დაფინანსებით მელიორირებული ფართობი გაიზრდება სულ მცირე 15%-ით, საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით | **შესრულებული:**<br>2020-2021 წლებში, სახელმწიფო დაფინანსებით მელიორირებული ფართობი გაიზარდა:2020 წელს - 4,6 %, 2021 წელს - 2,75%. სულ 7.35%-ით. |

## ამოცანა 1.7 სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება

1.7 ამოცანის შესრულების მიზნით, 2021 წელს 3 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის, სოფლად ტურისტული პროდუქტის განვითარება, მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და კერძო სექტორის უნარების განვითარება ტურისტული მომსახურების

კუთხით (გადამზადების პროგრამა). ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მის სტრუქტურაში შემავალი უწყებების მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2021 წლის განმავლობაში:**

⇒ შეიქმნა 1 ახალი ტურისტული პროდუქტი „სამთო საფეხმავლო ბილიკები (ხაიში), ჩატარდა ორი არსებული ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია „ღვინის გზა“ და „სამთო საფეხმავლო ბილიკი“(მესტია);

⇒ შეიქმნა 2 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი;

⇒ გადამზადებულ იქნა 600 ტურიზმის სექტორის წარმომადგენელი.

**1.7 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი აქტივობების საპროგნოზო ბიუჯეტი 700,000 ლარით განისაზღვრა. 2021 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 417,751 ლარი.**

- **აქტივობა 1.7.1: სოფლად ტურისტული პროდუქტის განვითარება**

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

<u>აქტივობის მიზანი:</u> ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა

**განხორციელებული ღონისძიებები**

განხორციელდა ღვინის გზის 48 ახალი ღვინის ტურიზმის მასპინძელი ობიექტისთვის მანიშნებლების მონტაჟი - ქვეყნის მასშტაბით. მოეწყო სამთო-საფეხმავლო ბილიკების ზემო სვანეთში (ჭუბერი, ნაკრას და მულახის თემებში). ქვეყნის მასშტაბით 61 ახალი რეკომენდებული ღვინის ტურიზმის ობიექტისთვის (მარანი და საწარმო) განხორციელდა საგზაო მანიშნებლების მონტაჟი. განხორციელდა ღვინის ტურიზმის ობიექტების ინსპექტირება და ქვეყნის მასშტაბით 35 ახალი ღვინის ობიექტისთვის მომზადდა საგზაო მანიშნებლების პროექტი, რომლის მონტაჟიც დაგეგმილია 2022 წელს.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, საანგარიშო პერიოდში, შეიქმნა 1 ახალი ტურისტული პროდუქტი „სამთო საფეხმავლო ბილიკები (ხაიში), ჩატარდა ორი არსებული ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია „ღვინის გზა“ და „სამთო საფეხმავლო ბილიკი“(მესტია).

| ამოცანა 1.7: სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.7.1: სოფლად ტურისტული პროდუქტის განვითარება |

| | |
|---|---|
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, დამატებით შექმნილი იქნება 1 ახალი ტურისტული პროდუქტი, ჩატარდება 2 არსებული ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია. | **შესრულებული:**<br>2021 წელს, შეიქმნა 1 ახალი ტურისტული პროდუქტი „სამთო საფეხმავლო ბილიკები (ხაიში), ჩატარდა ორი არსებული ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია „ღვინის გზა“ და „სამთო საფეხმავლო ბილიკი“(მესტია). |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 200,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 80,666.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელე ბის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებ ის პროცესი დასრულებულ ია |
| | სტატუსი | | | | | X |

- **აქტივობა 1.7.2: მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო /სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

აქტივობის მიზანი: ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა

**განხორციელებული ღონისძიებები**

მოეწყო ატენის ხეობის საპიკნიკე ინფრასტრუქტურა - პროექტის ფარგლებში მოეწყო დახურული ფანჩატურები, მაგიდა და სკამები, საცეცხლურები, ჰამაკის დასაკიდი ძელები, საქანელა. მოხდა გორის სასურათე ჩარჩოს მონტაჟი.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, საანგარიშო პერიოდში, შეიქმნა 2 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი.

| ამოცანა 1.7: სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.7.2: მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება |

| | |
|---|---|
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, 2 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი იქნება შექმნილი. | **შესრულებული:**<br>2021 წელს, შეიქმნა 2 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 400,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 236,358.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელები ს პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელები ს პროცესი შეწყვეტილია | განხორციელ ების პროცესი დასრულებუ ლია |
| | სტატუსი | | | | | X |

- **აქტივობა 1.7.3: კერძო სექტორის უნარების განვითარება ტურისტული მომსახურების კუთხით (გადამზადების პროგრამა)**

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

<u>აქტივობის მიზანი:</u> ტურიზმის განვითარება და ხელშეწყობა

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წელს, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მიერ განხორციელდა სხვადასხვა თემატიკის 4 ტრენინგი სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში გადამზადებულია 600 ტრენინგის მონაწილე.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, საანგარიშო პერიოდში, სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში გადამზადებულია 600 ტრენინგის მონაწილე.

| |
|---|
| ამოცანა 1.7: სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება |

| | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 1.7.3: კერძო სექტორის უნარების განვითარება ტურისტული მომსახურების კუთხით (გადამზადების პროგრამა) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, გადამზადებული იქნება ტურიზმის სექტორის 600 წარმომადგენელი. | **შესრულებული:**<br>2021 წელს, გადამზადებულია 600 ტურიზმის სექტორის წარმომადგენელი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** <u>100,000 ლარი</u> | **ფაქტობრივი:** <u>100,727 ლარი</u> |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელები ს პროცესი შეჩერებულია | განხორციელები ს პროცესი შეწყვეტილია | განხორციელე ბის პროცესი დასრულებუ ლია |
| | სტატუსი | | | | | X |

# მიზანი 2 - ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია

სტრატეგიული მიზანი 2 - ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია მოიცავს 4 ამოცანას და 9 აქტივობას.

## ამოცანა 2.1 გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება და ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2021 წლის განმავლობაში:**

⇒ არ დაწყებულა სოფლის მეურნეობის სექტორისთვის ადაპტაციის ეროვნული გეგმის შეფასება.

**2.1 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი აქტივობების საპროგნოზო ბიუჯეტი 0.00 ლარით განისაზღვრა.**

- **აქტივობა 2.1.1: კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შესაძლებლობების განსაზღვრა და ხელშეწყობა**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / გარემოს და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი

პარტნიორი ორგანიზაცია: UN Environment

აქტივობის მიზანი: საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გაძლიერება არსებული შესაძლებლობების ანალიზითა და ამ ანალიზზე დაფუძნებული ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებით.

**განხორციელებული ღონისძიებები**

საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გაძლიერება წარმოადგენს უფრო ფართო პროექტის ნაწილს, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის შესაძლებლობების შესწავლას და მომავალი ქმედებების განსაზღვრას აღნიშნული შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში იგეგმება ეროვნული ადაპტაციის გეგმის (NAP) შემუშავება, რომლის ნაწილადაც მოიაზრება სოფლის მეურნეობის სექტორისთვის ადაპტაციის გეგმის შემუშავება.

პროექტი შემუშავდა და 2020 წელს წარედგინა კლიმატის მწვანე ფონდს (GCF) - მიუხედავად იმისა, რომ პროექტისთვის საჭირო თანხები გამოყოფილია, სხვადასხვა მიზეზით ჭიანურდება პროექტის საბოლოო დამტკიცება (მათ შორის, მნიშვნელოვნად უარყოფითი როლი შეასრულა Covid-19 პანდემიამ).

ამ ეტაპზე ისევ მიმდინარეობს პროექტის საბოლოო ვერსიის GCF-თან შეთანხმება - ვინაიდან პროექტი ჯერ არ დაწყებულა, შესაბამისად არც აღნიშნული ქმედება შესრულდა.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

არ დაწყებულა შესრულება.

| ამოცანა 2.1: გარემოსთან ადაპტირებული , კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.1.1. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შესაძლებლობების განსაზღვრა და ხელშეწყობა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო / სსიპ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო |

| | |
|---|---|
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს დაიწყება სოფლის მეურნეობის სექტორისთვის ადაპტაციის ეროვნული გეგმის შეფასება | **შესრულებული:**<br>2021 წელს: არ შესრულდა |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 0 | **ფაქტობრივი:** 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | | | X | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელებ ის პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებ ის პროცესი დასრულებულ ია |
| | სტატუსი | X | | | | |

## ამოცანა 2.2 ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

2.2 ამოცანის შესრულების მიზნით, 2021 წელს 2 აქტივობა განხორციელდა - დაცული ტერიტორიების ტურისტულ მარშრუტებზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურით აღჭურვა. ამოცანის აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2021 წლის განმავლობაში:**

⇒ 2021 წელს, დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო 22 ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა;
⇒ რეაბილიტაცია ჩაუტარდა ერთ დაცულ ტერიტორიაზე არსებულ ეკოტურისტულ ინფრასტრუქტურას;
⇒ შეძენილ იქნება 200 ერთეული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი /აღჭურვილობა;
⇒ დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო დაცვის ინფრასტრუქტურა - 35 ერთეული ხერგილი;
⇒ დაცული ტერიტორიებისთვის შეძენილ იქნა 200-ზე მეტი სხვადასხვა სახის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

**2.2 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი აქტივობების საპროგნოზო ბიუჯეტი 500,000 ლარით განისაზღვრა. 2021 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 9,219,139.00 ლარი.**

- **აქტივობა 2.2.1: დაცული ტერიტორიების ტურისტულ მარშრუტებზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

აქტივობის მიზანი: ეკოტურიზმის განვითარება და საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წელს:
- 3 დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო ჯამში 126 კმ სიგრძის ბილიკების ქსელი: ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები (2 ბილიკი, ჯამში 17 კმ); ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები (8 კმ); ალგეთის ეროვნული პარკი (5 ბილიკი, ჯამში 101 კმ);
- აშენდა 12 ხიდი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში;
- აშენდა 2 ტურისტული თავშესაფარი - ალგეთის ეროვნულ პარკში (1) და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში (1).
- რეაბილიტაცია ჩაუტარდა სათაფლიას აღკვეთილის ინფრასტრუქტურას, განახლდა მღვიმის და საფეხმავლო ბილიკების განათების სისტემა, მღვიმეში დამონტაჟდა გახმოვანების სისტემა

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო დაცულ ტერიტორიებზე 2 ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა / ან არსებულის რეაბილიტაცია. საანგარიშო პერიოდში, დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო 22 ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა (ბორჯომ-ხარაგაულის, ლაგოდეხის და ალგეთის დაცული ტერიტორიები) და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ერთ დაცულ ტერიტორიაზე არსებულ ეკოტურისტულ ინფრასტრუქტურას (სათაფლია)

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ფაქტობრივმა ათვისებამ შეადგინა 9,098,812 ლარი. 2021 წლის დასაწყისში სამინისტროსთან ერთად მოძიებულ იქნა თანხები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომელიც მიმართულ იქნა 9 სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე 10 ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის. აღნიშნული პროექტი წარმოადგენს მრავალწლიან შესყიდვას, რომელიც განხორციელდება 2021-2023 წლებში და მოიცავს 38 მლნ ლარს, საიდანაც 9,098,812 ლარი გაიხარჯა 2021 წელს.

| ამოცანა 2.2: ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.2.1: დაცული ტერიტორიების ტურისტულ მარშრუტებზე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ დაცული |

| | |
|---|---|
| | ტერიტორიების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, დაცულ ტერიტორიებზე 2 ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა / ან არსებულის რეაბილიტაცია | **შესრულებული:**<br>2021 წელს, დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო 22 ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა/ რეაბილიტაცია ჩაუტარდა ერთ დაცულ ტერიტორიაზე არსებულ ეკოტურისტულ ინფრასტრუქტურას |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 350,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 9,098,812.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელები ს პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელე ბის პროცესი დასრულებუ ლია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 2.2.2: დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურით აღჭურვა**

<u>პასუხისმგებელი უწყება</u>: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

<u>აქტივობის მიზანი</u>: დაცული ტერიტორიების დაცვა და რესურსების მართვა

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წლის განმავლობაში:

- 3 დაცულ ტერიტორიაზე გაუმჯობესდა დაცვის ინფრასტრუქტურა - მოეწყო 35 ხერგილი:
  - → ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი (10);
  - → მაჭახელას ეროვნული პარკი (3);
  - → ერუშეთის ეროვნული პარკი (22).
- დაცული ტერიტორიებისთვის შეძენილ იქნა 200-ზე მეტი სხვადასხვა სახის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს, აქტივობის ფარგლებში, დაგეგმილი იყო დაცულ ტერიტორიებზე 3 ერთეული დაცვის ინფრასტრუქტურის (სარეინჯერო, ხერგილი ან სხვა) მოწყობა / რეაბილიტაცია; 50 ერთეული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის / აღჭურვიილობის შეძენა.

საანგარიშო პერიოდში, სამ დაცულ ტერიტორიაზე განვითარდა დაცვის ინფრასტრუქტურა - მოეწყო 35 ხერგილი (ბორჯომ-ხარაგაიული (10), მაჭახელა (3), ერუშეთი (22).

დაცული ტერიტორიებისთვის შეძენილ იქნა 200-ზე მეტი სხვადასხვა სახის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

| ამოცანა 2.2: ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.2.2: დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურით აღჭურვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო /სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს<br>→ დაცულ ტერიტორიებზე მოეწყობა / ჩაუტარდება რეაბილიტაცია დაცვის ინფრასტრუქტურის (სარეინჯერო, ხერგილი ან სხვა) 3 ერთეულს;<br>→ შეძენილ იქნება 50 ერთეული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი / აღჭურვილობა. | **შესრულებული:**<br>2021 წელს<br>→ დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო დაცვის ინფრასტრუქტურა - 35 ერთეული ხერგილი;<br>→ დაცული ტერიტორიებისთვის შეძენილ იქნა 200-ზე მეტი სხვადასხვა სახის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 150,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 120,327.00 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელებ ის პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელებ ის პროცესი შეწყვეტილია | განხორციელებ ის პროცესი დასრულებულ ია |
| | სტატუსი | | | | | X |

## ამოცანა 2.3 ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება

2.3 ამოცანის შესრულების მიზნით, 2021 წელს 4 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის მერქნული რესურსის მართვა, ტყის მოვლა-აღდგენა და ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაცია. გარემოს მდგრადობის ხელშეწყობა, ამოცანის აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სტრუქტურაში შემავალი სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2021 წლის განმავლობაში:**

- ⇒ 474,571 მ$^3$ ხე-ტყის გამოყოფილ რესურსზე უზრუნველყოფილ იქნა ხელმისაწვდომობა;
- ⇒ 442,8 ჰა ახალ ფართობზე განხორციელდა ტყის აღდგენა-გაშენების (ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის) ღონისძიებები;
- ⇒ დამატებით შედგენილია ტყის მართვის გეგმების პროექტები 152,9 ათას ჰა-ზე დასრულებულია სამი სატყეო უბნის (ლაგოდეხი, ლენტეხი, ახმეტა) ინვენტარიზაციის სამუშაოები;
- ⇒ 2021 წელს, 442,8 ჰა ახალ ფართობზე განხორციელდა ტყის აღდგენა გაშენების (ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის) ღონისძიებები.

**2.3 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი აქტივობების საპროგნოზო ბიუჯეტი 14,600,000 ლარით განისაზღვრა. 2021 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 16,892,000 ლარი.**

- **აქტივობა 2.3.1: მერქნული რესურსის მართვა**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

აქტივობის მიზანი: მერქნული რესურსის მოპოვებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, წინასწარ შერჩეულ სატყეო უბნების ტერიტორიებზე ხეტყის დამზადების მიზნით შესაბამისი ფართობების გამოვლენა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება; სპეციალური ჭრის ფარგლებში ხე-ტყის დამზადება და რეალიზაცია.

**განხორციელებული ღონისძიებები**

მოსახლეობის, საბიუჯეტო და სხვადასხვა ორგანიზაციების ხე-ტყით უზრუნველყოფის მიზნით (გარდა სპეციალური ჭრისა) გამოყოფილია ტყეკაფები 294,913 კბმ ოდენობით. სპეციალური და მოვლითი ჭრის ფარგლებში გამოყოფილია 179,657 კბმ მოცულობის ტყეკაფი, სულ ჯამში 474,571 კბმ მოცულობის ხეტყე.

2021 წელს, სააგენტოს მიერ სამეურნეო და მოვლითი ჭრის ტყეკაფებიდან, დამზადებულ იქნა 133,126 კბმ მერქნული რესურსი. სკოლებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების სათბობი შეშით

მომარაგების მიზნით, დამზადებული და გადაცემული იქნა 27,130 მ3 მერქნული რესურსი. აუქციონისა და პირდაპირი მიყიდვის წესით რეალიზებულია 112,8 ათასი კბმ. რესურსი.

გამოყოფილ ტყეკაფებში არსებულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, დამატებით მოწყობილი/რეაბილიტირებული იქნა სატყეო გზები სულ 68.4 კმ-ზე. სოციალური მიზნებისათვის გაცემულია 281,046.8 კბმ-მდე მერქნული რესურსი (40,544 ბენეფიციარი). სამეურნეო და მოვლითი ჭრის შედეგად დამზადებულია 133,126 კბმ-მდე მერქნული რესურსი.

| ამოცანა 2.3: ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.3.1: მერქნული რესურსის მართვა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, 600,000 მ3 ხე-ტყის გამოყოფილ რესურსზე უზრუნველყოფილი იქნება ხელმისაწვდომობა. | **შესრულებული:**<br>2021 წელს, ჯამში 474,571 კბმ ხე-ტყის რესურსზე უზრუნველყოფილ იქნა ხელმისაწვდომობა. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო**: 12,000,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 14,975,800.00 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 2.3.2: ტყის მოვლა და აღდგენა**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

აქტივობის მიზანი: ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნების ხელშეწყობა; ტყის დროებითი სანერგეების მოწყობა პრიორიტეტების მიხედვით შერჩეულ სატყეო უბნების ტერიტორიებზე, ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებების განხორციელება წინასწარ გამოვლენილ აღსადგენ ფართობებზე.

**განხორციელებული ღონისძიებები**

2021 წელს აღდგენა-გაშენების (მ.შ. მოვლის) ღონისძიებები განხორციელდა 651,5 ჰა-ზე, 7 რეგიონში. აქედან, 442,8 ჰა ახალ ფართობზე განხორციელდა ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებები, 206,7 ჰა ფართობზე განხორციელდა წინა წლებში აღდგენილ-გაშენებული და ასევე, 2 ჰა-ზე წინა წლებში გაშენებული პლანტაციის მოვლის ღონისძიებები.

სატყეო სამსახურების მიხედვით, ტყის აღდგენა-გაშენების და მოვლის ღონისძიებები განხორციელდა: მცხეთა-მთიანეთში 25,6 ჰა ფართობზე, ქვემო ქართლში 44,9 ჰა-ზე, სამცხე-ჯავახეთში 178,46 ჰა-ზე, იმერეთის რეგიონში 343,1 ჰა-ზე, გურიაში - 39,9 ჰა-ზე, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის 18,9 ჰა-ზე, სამეგრელო ზემო სვანეთის 1.24 ჰა ფართობზე.

| ამოცანა 2.3: ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.3.2: ტყის მოვლა და აღდგენა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ ეროვნული სატყეოსააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, დამატებით 100 ჰა-ზე გაშენდება/აღდგენილი იქნება ტყის მასივი. | **შესრულებული:**<br>2021 წელს, 442,8 ჰა ახალ ფართობზე განხორციელდა ტყის აღდგენა-გაშენების ღონისძიებები. |
| **ბიუჯეტი** | |
| საპროგნოზო: 1,750,000.00 ლარი | ფაქტობრივი: 1,367,800.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 2.3.3: ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის განხორციელება**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

აქტივობის მიზანი: ტყის მართვის გეგმის შემუშავება, რომელშიც აისახება სატყეო- სამეურნეო ღონისძიებები მიმართული ტყის დაცვაზე, რესურსების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რაციონალურ და მრავალმიზნობრივ გამოყენებასა და კვლავწარმოებაზე; ტყის რესურსების

მდგომარეობის შესახებ მოძველებული ინფორმაციის განახლება, ტყის რესურსების აღრიცხვა, ტყის მეურნეობის წარმოების, ტყის რესურსების მაჩვენებლების და ხარისხის დადგენა და ანალიზი; სახელმწიფოს ტყის ფონდის საზღვრების დაზუსტება და შესაბამისი კარტოგრაფიული მასალის მომზადება; ტყის აღრიცხვის არსებული მატერიალური ბაზის გაუმჯობესება და ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე პროგრამული საშუალებებით უზრუნველყოფა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

დასრულებულია ტყის აღრიცხვის სამუშოები და შედგენილია ტყის მართვის გეგმა:

- ლაგოდეხის სატყეო უბნისთვის - 21,086 ჰა ჰექტარზე;
- ლენტეხის სატყეო უბნისთვის - 76,393 ჰა-ზე;
- ახმეტის სატყეო უბნისთვის - 55,492 ჰა-ზე,
- სულ ჯამში 152,9 ათ. ჰა-ზე.

აღნიშნულ ფართობებზე მიმდინარეობს ტყის მართვის გეგმების დამტკიცების პროცედურები. ასევე, 2021 წელს ჩატარებულია ტყის აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) საველე სამუშაოები:

- წალკა-თეთრიწყაროს - 54’202 ჰა ფართობზე;
- ადიგენის - 30’000 ჰა-ზე;

დედოფლისწყარო-სიღნაღის სატყეო უბნის - 23,335 ჰა-ზე მიმდინარეობს ტყის მართვის გეგმის შემუშავება; განხორციელდა და მიმდინარეობს ამბროლაურის სატყეო უბნის ტყის აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) სამუშაოები 20’000 ჰა-ზე (რომელიც გაგრძელდება და დასრულდება 2022 წელს, სულ - 81,000 ჰა ფართობზე).

საერთო ჯამში განახლებული ტყის მართვის გეგმები სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის დაახლოებით 35%-ს მოიცავს, აქედან 19,4% -ზე დამტკიცებულია ტყის მართვის გეგმები.

| ამოცანა 2.3: ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.3.3: ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის განხორციელებაა |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |

| დაგეგმილი: | შესრულებული: |
|---|---|
| 2021 წელს: დამატებით შედგება ტყის მართვის გეგმების პროექტები 2 სატყეო უბნისათვის (153 ათასი ჰა); | 2021 წელს: დამატებით შედგენილია ტყის მართვის გეგმების პროექტები 152,9 ათას ჰა-ზე დასრულებულია სამი სატყეო უბნის (ლაგოდეხი, ლენტეხი, ახმეტა) ინვენტარიზაციის სამუშაოები. |
| **ბიუჯეტი** | |
| **საპროგნოზო:** 850,000.00 ლარი | **ფაქტობრივი:** 548,400.00 ლარი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
| | რეიტინგი | | X | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 2.3.4: გარემოს მდგრადობის ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.1.)**

| ამოცანა 2.3: ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება | |
|---|---|
| აქტივობის ნომერი და სახელწოდება: | აქტივობა 2.3.4: გარემოს მდგრადობის ხელშეწყობა (ENPARD IV, ინდიკატორი 2.1.) |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2020 – 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |
| **დაგეგმილი:**<br>2021 წელს, დამატებით გაშენდება / აღდგენილ იქნება სულ მცირე 200 ჰა ტყის ფართობი 2019 წლის მაჩვენებელთან შედარებით. | **შესრულებული:**<br>2021 წელს, 442,8 ჰა ახალ ფართობზე განხორციელდა ტყის აღდგენა გაშენების (ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის) ღონისძიებები |

## ამოცანა 2.5 აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება

2.5 ამოცანის შესრულების მიზნით, 2021 წელს 2 აქტივობა განხორციელდა, მათ შორის საქართველოს ფაუნის ადგილობრივ ჯიშებზე და პოპულაციებზე კვლევების ჩატარება ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურებზე კვლევების ჩატარება. ამოცანის ყველა აქტივობა განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის სტრუქტურაში შემავალი სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ.

**ამოცანის მიზნების მისაღწევად განხორციელებული აქტივობების შედეგად, 2021 წლის განმავლობაში:**

**საქართველოს ფაუნის ადგილობრივ ჯიშებზე და პოპულაციებზე კვლევების ფარგლებში:**

- ⇒ გამოიცა 52 სტატია;
- ⇒ შემუშავდა 9 რეკომენდაცია;

**ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის შენარჩუნება, მათი გაშენების, მოვლა-მოყვანის, ბიოაგროწარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავების ფარგლებში:**

- ⇒ გამოიცა 72 სტატია;
- ⇒ შემუშავდა 44 რეკომენდაცია.

**2.5 ამოცანის შესრულების მიზნით დაგეგმილი აქტივობების საპროგნოზო ბიუჯეტი 2,700,000 ლარით განისაზღვრა. 2021 წელს, სახელმწიფოს მიერ, ამოცანის განხორციელებისთვის გახარჯულია 2,792,927 ლარი.**

- **აქტივობა 2.5.1: საქართველოს ფაუნის ადგილობრივ ჯიშებზე და პოპულაციებზე კვლევების ჩატარება**

პასუხისმგებელი უწყება: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

პროგრამის მიზანი: საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების აღდგენა-გაუმჯობესება და გენეტიკური ბანკის შექმნა.

**განხორციელებული ღონისძიებები**

- **მეძროხეობა** - ბაღდადის მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელდა მეგრული წითელი საქონლის მომშენებელი ფერმების მოძიება. აღრიცხვის მასალები შეტანილია აღრიცხვის ელექტრონულ ფორმებში.
- კრწანისის საცდელი ბაზის მეძროხეობის ფერმაში მიკრონახირის სულადობა შეადგენს 19 სულს, სარძეო პროდუქტიულობის შესწავლა ხდება 8 ფურზე, მთელ სულადობაზე შედგენილია სანაშენე ბარათები.
- დმანისის სასელექციო სადგურში გრძელდებოდა მოზარდის ზრდა-განვითარების, ფურების სარძეო პროდუქტიულობის და აღწარმოების მაჩვენებლების შესწავლა, ნახირის შეფასება და გადარჩევა, მოზარდის აწონვა, დედების პროდუქტიულობის შესწავლა, სანაშენე აღრიცხვის მოწესრიგების და გადარჩევის მიმდინარე სამუშაოები;
- ხობის მუნიციპალიტეტის ს. ნახშირღელეში მდებარე საბაზო ფერმაში მიმდინარეობდა მეგრული წითელი ჯიშის პირუტყვის შესწავლა.
- ალათუბნის და ჯიგრაშენის საბაზო ფერმებში მიმდინარეობდა კავკასიური წაბლა ჯიშის პირუტყვის სამეურნეო - პროდუქტიულობის და ექსტერიერის მაჩვენებლების შესწავლა. მოპოვებული მასალა შეტანილია ცდის ელექტრონულ ფორმაში.
- კრწანისის ბაზაზე მიმდინარეობდა ქართული მთის ჯიშის ნახირის მოშენების და სელექციის მიმდინარე პროცესი.

- აღებულია მეგრული წითელი ჯიშის საცდელი ფურების რძის 20 ნიმუში, განსაზღვრულია ქიმიურ-ფიზიკური მაჩვენებლები, დაგროვებულია ექსტერიული კვლევის მასალა 10 სულ პირუტყვზე;
- განხორციელდა გომარეთის სარძეე კოოპერატივზე დმანისის სადგურიდან გადაცემული მწარმოებლების გამოყენების მონიტორინგი .
- გაიყიდა კრწანისის საცდელ ბაზაზე მოშენებული ქართული მთის ჯიშის საკოლექციო-საცდელი ნახირი აუქციონის წესით, ნახირის ხალასად მოშენების და ცდების გაგრძელების უფლების შენარჩუნებით.
- ყვარლის მუნიციპალიტეტის შპს "ყვარლის ბაგაში", რომელთანაც გაფორმდა მემორანდუმი, დაიწყო საწარმო პირობების და ნახირის შესწავლა.
- მიმდინარეობდა გეგმიური კვლევები მეგრული წითელი ჯიშის საცდელ ფერმაში საკონტროლო წველა ჩატარებულია 10 ფურზე, შესწავლილია დეკეულების განვითარება და ექსტერიერი;
- შედგენილია მეძროხეობაში კვლევის 2022 წლის პროგრამა, კორექტირებულია მეთოდიკები;
- დმანისის ბუნებრივ სათიბ-საძოვრებზე გათიბულ იქნა 33 ჰა და დამზადდა თივა 26 ტ, რომელიც ჩაბარდა დმანისის სასელექციო სადგურს.
- **მეღორეობაში** - 2 ინტროდუცირებული და 5 კახური ჯიშის ღორისაგან მიღებულია მოგება.
- მიღებულია 53 გოჭი კახურ ღორში და 33 ინტროდუცირებულ ჯიშებში, სულ 86 გოჭი.
- **მეცხვარეობა/მეთხეობაში** - დოლის შედეგად მიღებული ნამატი აწონილია, ნიშანდებულია და შეტანილია ფერმის ჟურნალში.
- აწონილია ცხვრის სულადობა; ჩატარდა ცხვრის ბონიტირება; აღებულ იქნა მატყლის ნიმუშები საანალიზოდ;
- ჩატარდა ნახევრად ნაზმატყლიანი და ნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი ცხვრის ჯიშების ბატკნების ზრდა-განვითარების მონიტორინგი და მონაცემები შეტანილია ფერმის ჟურნალში;
- აღებულია თხის სულადობის განაზომები, აწონილია თხის მთლიანი სულადობა, მიღებულია 10 სული ციკანი, მონაცემები შეტანილია სააღრიცხვო ჟურნალში
- **მეფრინველეობაში** - შედგენილია საკვები ულუფები ადგილობრივი ქათმის, ჩალისფერი ინდაურის, ჭრელი იხვის და კოლხური ხოხბისთვის.
- ჩატარდა ქათმის, იხვის, ინდაურის, ჯავახური ბატის და კოლხური ხოხბის კვერცხების აღრიცხვა (კვერცხის მასა, კვერცხების ინტენსივობა) და დამუშავებულია ბიომეტრიულად
- ადგილობრივი ქათმის სულადობა (240 ფრთა) აუქციონის წესით გადაეცა ფერმერულ მეურნეობას.
- შესწავლილია ჯავახური ბატის სადედე გუნდის ცოცხალი მასა კვერცხების წინ;
- ჩატარდა ინდაურის კვერცხის ინკუბაცია. შესწავლილია ინდაურის კვერცხის საინკუბაციო მაჩვენებლები;
- მიმდინარეობს ინდაურის და იხვის მოზარდის ზრდის დინამიკის შესწავლა;

- **მეფუტკრეობაში** - გატარებულ იქნა ფუტკრის დაავადებების საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები. ჩატარებულ იქნა საფუტკრის საგაზაფხულო აღწერა. შესწავლილია ფუტკრის ოჯახების გამოზამთრების შედეგები.
- ნუკლეუსებიდან ამოყვანილ იქნა განაყოფიერებული დედა ფუტკრები და გადანაწილდა წინასწარ შერჩეულ საფუტკრეში;
- განხორციელდა ფუტკრის აღმზრდელი ოჯახებისთვის ფუმფლის მიცემა;
- გამოყვანილია 50 დედა ფუტკარი სანაშენე ოჯახებიდან (სულ 200), 130 დედა ფუტკარი რეპროდუქტორი საფუტკრეებიდან (სულ სანაშენე და რეპოდუქტორი ფუტკრის ოჯახებიდან 500). განაყოფიერებული დედა ფუტკრები განაწილდა წინასწარ შერჩეულ საფუტკრეში.
- სანაშენე ფუტკრის ოჯახებიდან გამოწურულ იქნა 200 კგ თაფლი (სულ 430 კგ).
- აღებულ იქნა მუშა ფუტკრის ნიმუშები ლაბორატორიული კვლევისათვის.
- შესწავლილ იქნა ცოცხალი მასის დაგროვება ზრდასრული ფუტკრის სახით, გადაბეჭდილი ბარტყის ფართობი, საკვების დაგროვების დინამიკა.
- აღირიცხებოდა პროდუქტიულობა ფუტკრის ოჯახიდან მიღებული პროდუქციის მიხედვით - წარმოებული თაფლი, ცვილი აშენებული ფიჭის სახით, დინდგელი, ამანათნაყარი.
- ჩატარებულ იქნა ფუტკრის ოჯახების საშემოდგომო აღწერა.
- შესწავლილ იქნა ჩოხატაურის და სურების თაფლოვანი მცენარეების გავრცელების არეალები.
- **მეაბრეშუმეობაში** - ჩატარდა თუთის აბრეშუმხვევიას გენოფონდის ჯიშების გრენის მიკროსკოპიული ანალიზი. გადარჩეული იქნა დაახლოებით 1200 ნადები აბსოლუტურად ჯანსაღი წმინდა ჯიშის გრენა და 150გ. ჰიბრიდული გრენა.
- ჩატარდა გრენის ინკუბაცია. გრენის გაცოცხლების პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით შერჩეული და გამოსაკვებად აღებული იქნა 650 ნიმუშიდან შერჩეული 420.
- გამოკვებილი იქნა თუთის აბრეშუმხვევიას 65 ჯიში და დამზადდა სასელექციო პარკი.
- წინასწარ მომზადებული სქემის მიხედვით მიმდინარეობს 10 საკოლექციო 2 ფერადპარკიანი ჯიშების სისხლის განახლება.
- დამზადდა 65 წმინდა ჯიშის გრენა 1800 ცალი ნადების რაოდენობით, 100გ რაოდენობით ჰიბრიდული გრენა. გარდა ამისა, დამზადდა 12 ჯიშის გრენა სისხლის განახლებით, 100 ცალი ნადების რაოდენობით
- მიკროანალიზის შედეგად დაქოლილი იქნა 500 ნადები დაავადებული გრენა. დარჩენილია 1300 ნადები წმინდა ჯიშის გრენა და 80 გ ჰიბრიდული გრენა.
- მეაბრეშუმეობის ლაბორატორიის მიმდებარე ტერიტორიაზე გაშენდა 100 ძირი თერმულ მოედანზე დაფესვიანებული ნერგი
- **ვეტერინარიაში** - მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ზოგიერთი ინფექციური დაავადებების მონიტორინგი.
- ჩატარდა სისხლის აღება და კვლევა ცხოველებში ბრუცელიოზის გამოვლენის მიზნით

- ჩატარდა კრწანისის ბაზაზე არსებული მ.რქ.პ.-ის (40 სული) პოსტვაქცინალური გამოკვლევა ბრუცელოზზე. დაავადება არ დაფიქსირებულა. გეგმიურად ტარდება დეჰელინტიზაცია.
- დაიგეგმა მ.რქ.პ.-ის ბრუცელოზზე გამოკვლევის მეორე ეტაპი (დმანისის ბაზა).
- **რისკებში** - მოძიებულ და გაანალიზებულ იქნა ნუტრიციული კვლევებისთვის სტანდარტული რეცეპტურების ფორმირების მექანიზმები და ინსტრუმენტული შესაძლებლობები.
- საქართველოში სურსათის მოხმარების შესწავლის მიზნით EFSA-ს ექსპერტებთან კონსულტაციების გზით შემუშავდა ნუტრიციული მოდელები, ნაციონალური კერძების მონაცემთა მოკვლევისთვის.
- განხორციელდა პირველადი ანალიზები Campylobacter jejuni-ის რეზისტენტულობის დეტერმინანტების გენეტიკური რეკომბინაციის აღმოსაჩენად.
- გაანალიზდა gyrA და CmeABC-ის იფლაქს ტუმბოს მაკოდირებელი გენები Campylobacter jejuni-ის ბუნებრივ პოპულაციებში. მომზადდა შრომა, რომელიც ასახავს კვლევებიდან მიღებულ შედეგებს, რაც მოწონებული იქნა აშშ-ს ამერიკის მიკრობიოლოგიის საზოგადოების მიერ გამოსაქვეყნებლად
- მიმდინარეობდა კობრის გენომში ბაქტერიული და ვირუსული დნმ-ის ჩანართების იდენტიფიცირება
- ფრთალაქიანი დროზოფილას - Drosophila suzukii--ის რისკის შეფასებისთვის ჩატარდა რისკის კომუნიკაცია რისკის ანალიზის ფარგლებში როგორც საერთაშორისო (ფრესნოს უნივერსიტეტის) ისე ადგილობრივ (სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის) ექსპერტებთან.
- სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ინიცირებული ფრთალაქიანი დროზოფილას - Drosophila suzukii--ის რისკის შეფასებისთვის განხორციელდა და კვლავაც ხორციელდება შესაბამისი ანალიზები.

**ინდიკატორების და ბიუჯეტის შესრულება**

2021 წელს საანგარიშო პერიოდში გამოცემულია 52 სამეცნიერო ნაშრომი; გაცემულია 9 რეკომენდაცია.

| 2.5 აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება | |
|---|---|
| პროგრამის ნომერი და სახელწოდება | პროგრამა 2.5.1: საქართველოს ფაუნის ადგილობრივ ჯიშებზე და პოპულაციებზე კვლევების ჩატარება |
| პასუხისმგებელი უწყება: | საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი |
| საანგარიშო (მონიტორინგის) პერიოდი | 01.01.2021 - 31.12.2021 |
| **შესრულების ინდიკატორები** | |

| დაგეგმილი:<br>2021 წელს, გამოიცემა 20 სტატია, შემუშავდება 7 რეკომენდაცია | შესრულებული:<br>2021 წელს, გამოცემულია 52 სამეცნიერო ნაშრომი;<br>შემუშავებულია 9 რეკომენდაცია. |
|---|---|
| ბიუჯეტი | |
| საპროგნოზო: 500,000.00 ლარი | ფაქტობრივი: 429,889.00 ლარი |

| შესრულების შეფასება | | სრულად შესრულდა | უმეტესწილად შესრულდა | ნაწილობრივ შესრულდა | არ შესრულდა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | რეიტინგი | X | | | | |
| | | განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა | განხორციელების პროცესი მიმდინარეობს | განხორციელების პროცესი შეჩერებულია | განხორციელების პროცესი შეწყვეტილია | განხორციელების პროცესი დასრულებულია |
| | სტატუსი | | X | | | |

- **აქტივობა 2.5.2: ერთწლოვან და მრავალწლოვან კულტურებზე კვლევების ჩატარება**

<u>პასუხისმგებელი უწყება:</u> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/ სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

<u>პროგრამის მიზანი:</u> ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის შენარჩუნება, მათი გაშენების, მოვლა-მოყვანის, ბიოაგროწარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება.

**განხორციელებული ღონისძიებები:**

- მიმდინარეობდა კვლევები ვაზის სარეკომენდაციო ჯიშების გამოსავლენად;
- ვაზის საკვლევ ჯიშებს (40 ჯიში) შორის გამოვლინდა ორი მდედრობითყვავილიანი ჯიში: რაჭული მცვივანი და ჩიტისთვალა;
- შესწავლილი იქნა საკვლევი ჯიშების მტევნისა და მარცვლის პარამეტრები;
- კვლევის შედეგად გამოვლინდა შაქრიანობის მაღალი შემცველობით ჯიში-კახის წითელი-24.7%, ხოლო შედარებით დაბალი შაქრიანობით ღრუბელა უბუსუსო -15%;
- დასრულდა ღვინის ქიმიური ანალიზი და დადგინდა ძირითადი ქიმიური პარამეტრების მონაცემები; გადამუშავდა 50 ჯიშის ყურძენი;
- კვლევებისთვის მიღებულია 1700 ლ მოცულობის წითელი და 1200 ლ მოცულობის თეთრი ღვინო;
- საკვლევი ჯიშების ფარგლებში მოხდა ვაზის ზრდასრული ფოთლის აღწერა OIV დესკრიპტორებით;
- დნმ-ის საექსტრაქციო მასალა აღებულ იქნა ვაზის 20 სხვადასხვა ჯიშიდან. დნმ-ის ექსტრაქცია განხორციელდა ვაზის 14 ჯიშიდან;

- ჩატარდა 5 კულტურის (ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ხურმა და კაკლი) 37 ჯიშის - ყვავილობის ფენოფაზის და ბლის 7 ჯიშის სიმწიფის ფენოფაზის მიმდინარეობაზე დაკვირვება. შევსებული იქნა მონაცემთა ბაზა აღრიცხვებით და ფოტომასალით;
- ჩატარდა გარგარის და ბლის ჯიშების (11 ჯიში) ფოთლის აღწერა;
- ჩატარდა კაკლის კულტურის (7 ჯიში) ყვავილის დახასიათება და ფოტოდასურათება;
- ჩატარდა ბლის, გარგარის და გოჯი ბერის 15 ჯიშის ნაყოფის დახასიათება და სადეგუსტაციო შეფასება;
- ჩატარდა კურკოვანი ხილის (ატამი, გარგარი, ბალი, ალუბალი) ხის ბიომეტრული მაჩვენებლების აღრიცხვა;
- გაშენდა ხეხილის ინტროდუცირებული ჯიშების ახალი საკოლექციო ბაღი ჯიღაურაში;
- შეივსო 20 მდე ახალი ფორმით ადგილობრივი ხეხილის ჯიშების კოლექცია;
- ჩატარებულია UFO-ს და ესპანური ბუჩქის მეთოდოლოგიით საგაზაფხულო გასხვლა;
- ჩატარდა ატმის, ქლიავის (12 ჯიშის) და თხილის (3 ჯიშის) - სიმწიფის ფენოფაზის მიმდინარეობაზე დაკვირვება. შევსებული იქნა მონაცემთა ბაზა;
- მონაწილეობა იქნა მიღებული - PRUNING AND RINNING FRUIT TREES - ვებინარში, რომელიც ჩატარდა ესპანური კომპანიის „ვივეროს ვერონი“ მიერ;
- დასავლეთ საქართველოს (სამეგრელო და გურია) რეგიონებში ჩატარდა საველე დღეები კენკროვანი კულტურების წარმოების ტექნოლოგიაზე;
- მოძიებული და დარგული იქნა წითელგულა ფორთოხლის ორი სტანდარტული ნერგი. ავოკადოს თესლისაგან მიღებული იქნა ავოკადოს ნერგები;
- საანგარიშო პერიოდში სტანდარტული ნერგების მიღების მიზნით ჩაითესა კეთილშობილი დაფნის თესლი;
- დაკალმდა აქტინიდიის 5 ჯიშ-ფორმის ოთხიათასი კალამი. ციტრუსოვნების პერსპექტიული ჯიშ-ფორმების გასამრავლებლად, სათბურში გადატანილ იქნა ტრიფოლიატის სამიათასი მცენარის საძირე მასალა;
- გაშენებულია ინტენსიური ქარსაფრის სამოდელო ნიმუში, მოდელი, მიმდინარეობს მისი მოვლის ღონისძიებები;
- დასრულდა ტყის გენეტიკური რესურსების ინვენტარიზაცია;
- დასრულდა ტყის ზოგიერთი მერქნიანი სახეობის მოლეკულურ-გენეტიკური კვლევები, ფოთლის მორფომეტრიული განაზომები და ანალიზი (5 სახეობაზე) და შედგენილია მათი ბუნებაში გავრცელების ამსახველი რუკები;
- დადგენილია იშვიათი სახეობების ლოკაციები და შედგენილია რუკები;
- თესლთა ბანკში 5 სახეობის 10 ნიმუში ინახება;
- ჩატარდა ვერხვის ახალი სწრაფმზარდი ფორმების ბიომეტრული აღრიცხვები, განისაზღვრა ზრდის პოტენციალი, ბიომასა, ნახშირბადის შემცველობა და თბოუნარიანობა;
- თუთის ნამყენი ნერგებით შევსებული იქნა საკოლექციო ნაკვეთი;
- დამზადებულია სიმინდის 2,5 ტონა ჰიბრიდული სათესლე მასალა და 3,5 ტონა სათესლე მასალა;

- დაითესა ხორბლის ადგილობრივი და პერსპექტიული ჯიშები;
- წილკნის, სვირის, ახმეტის ბაზაზე მოხდა იზოლირებული ტაროების აღება
- შერჩეული ტაროები აღებულია საკონკურსო, წინასწარ და ჯიშთა გამოცდის ცდებში
- ახმეტაში, წილკანში, მარნეულში აჯამეთში მომზადდა ნაკვეთები და დაითესა სიმინდის სელექციური ცდები. სულ 10.0ჰა;
- წილკნის ბაზაზე ჩატარდა სიმინდის ხელოვნური შეჯვარებები;
- შესწავლილია სამამულო და უცხოური წარმოების ჩაის სასხლავი აპარატების კონსტრუქციები, დადგენილია ახალი აპარატის უპირატესობანი დამუშავებულია ესკიზური ნახაზები;
- ბელორუს სპეციალისტებთან ერთად დამუშავებულია ჩაის სპეციალური, ახალი ტრაქტორის ძირითადი კვანძების შეთანაწყობის და კინემატიკური სქემები;
- მიღებულია ჩაის კულტურის მოვლა-მოყვანის საცდელი აგრეგატი;
- კვლევებისთვის შერჩეულია ლობიოს 108 მუტანტთა მეოთხე თაობის ნიმუში და პომიდორის 2 ჰიბრიდი;
- დათესილია პარკოსანი საადრეო კულტურები, საგაზაფხულო ხახვი და პომიდორის შერჩეული ჰიბრიდები დახურულ გრუნტში;
- განხორციელდა კარტოფილის თესლის (სხვადასხვა დოზით) გამა დასხივებით დამუშავება;
- ჩატარდა ბიომეტრიული გამოკვლევები საშ. ხახვში და ნივრის სანერგეებში;
- აღებულია სატაცურის და არტიშოკის მოსავალი;
- აღებულია საგაზაფხულო ხახვის მოსავალი და დამუშავებულია აღებული მასალა;
- აღებულია პარკოსანი კულტურების მარცვლის მოსავლის საცდელი ნიმუშები და განხორციელებულია ბიომეტრიული აღრიცხვები;
- დათესილია საშემოდგომო პარკოსნები;
- შედგენილია თესლბრუნვისა და ბიოპრეპარატების გამოყენების სქემა სხვადასხვა კულტურისათვის;
- წილკნის საცდელი ნაკვეთისათვის მარცვლოვან, პარკოსან, ტექნიკურ და ბოსტნეულ კულტურებთან ერთად ურთიერთშეთავსებადობის პრინციპების შესაბამისად შეირჩა არომატული და პესტიდური აქტივობის მქონე მცენარეები და მომზადდა შერეული ნათესების სქემები;
- შეტანილია ორგანული სასუქი (ბომსი, ბიოჰუმუსი, აგროვიტა და ბიომიქსი) 1.5 ჰა ფართობზე დუზაგრამის საცდელ ნაკვეთზე;
- დუზაგრამის საცდელ ნაკვეთზე დაითესა :ხორბალი - 0.3 ჰა, ჭვავი - 0.25 ჰა, ქერი 0.5 ჰა, შვრია 0.4185 ჰა;
- შესწავლილია ბიო - იონჯის, ქერის, ხორბლისა და ჭვავის სტრუქტურული მაჩვენებლები
- აღებულია პომიდვრის 42 კგ, ბროკოლის 35 კგ, გოგრის 160 კგ, ტკბილი წიწაკა 10 კგ, ჭარხალი 63 კგ, სიმინდი 40 კგ, დამზადებულია ბარამბოს თესლი - 30 გრამი, გოგრის თესლი -350 გრამი, იმერული ზაფრანის თესლი 20 გრამი, ტკბილი წიწაკის თესლი 50 გრამი;

- დუზაგრამის საცდელ ნაკვეთში - იონჯაზე, სიმინდსა და თავთავიან კულტურებში სხვადასხვა საცდელ ვარიანტში შეტანილი იქნა ბიოპრეპარატები;
- ბიოპრეპარატებით დამუშავებული თესლი დაითესა კასეტებში (პომიდორი, სალათა, იმერული ზაფრანა, პიტბა, ბარამბო, ბროკოლი, ტკბილი წიწაკა, რეჰანი, პრასი, სატაცური)
- მიმდინარეობს ქერისა და ხორბლის თესლის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლა;
- საცდელი ვარიანტებში პომიდვრის, ტკბილი წიწაკის, ბროკოლის, სიმინდის, ლობიოს, სელის, ცულისპირას და სატაცურის შერეულ ნათესებში შეტანილია 25-მდე ბიოპრეპარატი;
- წილკნის საცდელ ნაკვეთზე შერეულ ნათესებად დაითესა: სიმინდი, ლობიო, შავი ბოლოკი, ოხრახუში, ნიახური, ცულისპირა, ჭარხალი, სელი, ფაცელია, ქონდარი, რეჰან, კატაბალახა. ასევე გადარგულია ჩითილები: პომიდორი, ბროკოლი, სალათა, პრასი, რეჰანი, სატაცური, პიტნა, იმერული ზაფრანა, ბარამბო .
- მიღებულია კარტოფილის 4000 უვირუსო მიკრო-მცენარე, CIP 2370, ადგილობრივი ჯიშები 710, ხოლო ინტროდუცირებული 920; ინ ვიტრო მცენარეები, უწყვეტად დაცულია და შენახული ინ-ვიტრო გენბანკში;
- შესაბამის საკვებ არეებზე მასიურად გამრავლდა კარტოფილის კლონები და ჯიშები. სულ 1860 მცენარე, ადგილობრივი- 830, ინტროდუცირებული 480, CIP კლონი კი 530;
- სათბურიდან აღებულ იქნა კარტოფილის მინი ტუბერების მოსავალი - სულ 12 380 ცალი;

  CIP კლონი- 5 350 ცალი , ინტროდუცირებული ჯიშები - 2 480, მესხური - 1 720 ცალი, მესხური წითელი - 1450 ცალი, ჯავახეთური - 1380 ცალი;
- შერჩეულ საკვებ არეებზე გამრავლდა ვაზის სხვადასხვა ჯიშები, მცენარეები მრავლდებოდნენ ინ-ვიტრო, ქსოვილის კულტურის გამოყენების მეთოდებით;
- ვაზის იშვიათი ჯიშები და საძირეები შეინახა ინ-ვიტრო გენბანკში, სადაც დაცულია ყველა ფიზიკური და კლიმატური პირობა,
- გამოვლინდა გარემოსთან შედარებით მარტივად ადაპტირებადი ჯიშები;
- პერსპექტიული კულტურის-ბატატისა და გოჯი ბერის სამი სახეობის ინ-ვიტრო გამრავლება მიმდინარეობდა ლაბორატორიაში; მცენარეები დაცულ იქნა გენბანკში.
- მიმდინარეობდა ქართული ვაზის 30 ჯიშის ინ-ვიტრო გამრავლება. 250 მცენარე გადაირგო ახალ საკვებ არეზე.
- გორიაევის კამერის გამოყენებით შესწავლილია გადარჩეული შტამების გამრავლების ინტენსივობა.
- მუჯურეთულისა და ალექსანდროულის ახლადგამოყოფილი შტამებისთვის დადგინდა დუღილის ოპტიმალური ტემპერატურა 18-22 $C^0$;
- ღვინის წარმოებისთვის პერსპექტიული საფუარის წმინდა კულტურების გამოყოფის მიზნით, დამზადებულია 40 საკვლევი შტამის დუბლიკატები, შესწავლილია მათი დუღილის ენერგია, გადარჩეულია მაღალი დუღილის ენერგიის მქონე შტამები;
- ქართული ვაზის ჯიშებში შესწავლილ იქნა ქლოროფილი ა და ბ, და კაროტინოიდების დინამიკა ვაზის ყვავილობისა და ისვრიმობის ფაზებში;

- ქართული ვაზის ჯიშებში: რქაწითელი, მწვანე კახური, საფერავი, ჩინური, გორული მწვანე, თავკვერი, ცოლიკოური, ციცქა და ოცხანური საფერეს ფოთლებში შესწავლილ იქნა თავისუფალი წყლისა და მშრალი ნივთიერებების რაოდენობები;
- ტექნიკური სიმწიფისა და ორგანული მოსვენების ფაზებში ვაზის საცდელ ჯიშების ფოთლებში შესწავლილ იქნა ქლოროფილის ფლუორესცენციის მახასიათებლები;
- მიღებული შედეგები აღრიცხულია ჟურნალში;
- დაზუსტებულია თხილისა და სხვა კაკლოვანი კულტურების ძირითადი დაავადებების გამომწვევი სოკოების სახეობები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალკახათში თხილის ბაღებში ჩატარდა ფიტოსანიტარული მონიტორინგი. გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები;
- აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობის რაიონებში მიმდინარეობდა ვაზის ჭიჭინობლების გავრცელების და ინტენსივობის დინამიკის შესწავლა და ფიტოპლაზმური დაავადებების გადატანის შესაძლებლობები;
- ჩატარდა ვაზის ჭრაქისა და ნაცრის საწინააღმდეგო ერთობლივი მოქმედების ახალი პესტიციდის ტრიაზოლის გამოცდა საველე და ლაბორატორიულ პირობებში. დადგინდა პრეპარატის გამოყენების ეფექტური რეგლამენტები;
- თხილის ნიმუშები გამოკვლეული იქნა ორ ვირუსულ და ერთ ბაქტერიულ დაავადების არსებობაზე;
- დიაგნოსტიკის დაჩქარებული მეთოდებით გამოვლენილია დაავადებებისადმი თხილის ორი, კაკლის ერთი და ნუშის სამი შედარებით გამძლე ჯიშები;
- მოხდა ვაზის ფიტოპლაზმური დაავადებების გამოვლენა პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდით. სულ შემოწმდა 100 ნიმუში;
- გამოკვლეული იქნა თხილის 100 ნიმუში, ნიმუშები აღებული იქნა როგორც ჯიღაურას საკოლექციო ნაკვეთიდან, ასევე ჩამოტანილი იქნა ზუგდიდის რაიონიდან;
- მდგომარეობის შესწავლის მიზნით შემოწმდა 13 სანერგე მეურნეობის მდგომარეობა და მიეცათ შესაბამისი მითითებები;
- ციტრუსების, თესლოვნების, კურკოვნებისა და კენკროვნებით ჯგუფის კულტურათა მწარმოებლ ფერმერებთან ადგილზე ჩატარდა სადედე ბაღებში არასაკარანტინო მავნე ორგანიზმების ვიზუალური და ლაბორატორიული კვლევის მეთოდებისა და სადედე ბაღების ინსპექტირების მეთოდების განხილვა;
- 4 სანერგე მეურნეობას მიენიჭა კვალიფიციურობის სტატუსი;
- 7 ფერმერულ მეურნეობაში დადგინდა სადედე ბაღებიდან ასაღები საანალიზო ნიმუშების რაოდენობა და ჩატარდა ლაბ. ანალიზები;
- სარგავი მასალის მწარმოებლების რეესტრს დაემატა 4 მწარმოებელი და სულ 55 მწარმოებელია;
